# სარბიელი

სპორტული გაზეთი ორშაბათი 25 აგვისტო 2008 №195 (3419)

ფასი 50 თეთრი

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

# ოლიმპიური დროშა ლონდონს მიდის, რუსეთისა კი აქ რჩება

## პეკინიდან დაბრუნებულ ჩვენს გმირებს დღეს სხვა საქართველო დახვდებათ



ოლიმპიური ჩემპიონები ირაკლი ცირეკიძე და მანუჩარ კვირკველია

გიორგი ქანიშვილის ფოტო

ეროვნული ბიბლიოთეკა

# პეკინმა ცეცხლი ჩააქრო,





## 962 ოლიმპიური მედლიდან ექვსი საქართველოსია



ქახა ბერიძე
პეკინიდან საგანგებოდ „სარბიელისთვის“

თვალისა და ხელს შუა გაირბინა 16-მა დღემ, რომელსაც მილიარდობით ადამიანი მთელს მსოფლიოში ოთხი წელიწადი ელოდა. აღარაფერს ვამბობ, თავად სპორტსმენებზე, მწვრთნელებზე, სპორტულ ჩინოსნებზე, სპორტულსა და ზოგადად მასმედიაზე.

ეს არის ოთხწლეულის შემაჯამებელი ყველაზე მასშტაბური, ყველაზე გრანდიოზული, ყველაზე პოპულარული, ყველაზე მშვიდობიანი და კიდევ არაერთი „ყველაზე“ სპორტული ფორუმი.

დამთავრდება ერთი და მეორე დღესვე იწყება მზადება მომდევნო თამაშებისთვის. ასე გრძელდება 1896 წლიდან მოყოლებული, როდესაც ბარონ პიერ დე კუბერტენის ძალისხმევით მოხერხდა თანამედროვე ოლიმპიური თამაშების აღდგენა და ვინძლო იქამდე გაგრძელდება, სანამ კაცობრიობა იარსებებს.

24 აგვისტოს, ოლიმპიადის ბოლო დღეს პეკინში აშკარად იგრძნობოდა სევდიანი განწყობა. ეს ყოველი ნაბიჯზე ჩანდა: სასტუმროებში, სპორტულ არენებზე, მთავარ პრესცენტრში.. ტრანსპორტირების მომსახურე პერსონალითა თუ უბრალო ვოლონტიორებით დამთავრებული. მათ მოსალმებასა და ღიმილში ის სიხალსე აღარ იყო, რაც მათ ამ 16 დღეში თან სდევდათ, თუმცაღა ჩვენთვის ამ სპორტულმა ზეიმმა ცნობილი მიზეზების გამო ისედაც უხალისოდ ჩაიარა.

პეკინი ოლიმპიურ თამაშებს ემშვიდობებოდა, იმ ოლიმპიადას, რომელიც უმაღლეს დონეზე ჩატარდა. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ შეჯიბრს წუნი თითქმის არაფერში დაედებოდა.

ვინ იცის, როდის დაუბრუნდება პეკინს ოლიმპიური თამაშები, შესაძლოა, ეს ამ საუკუნეში აღარც მოხდეს. მომავალი ოლიმპიადის მასპინძელი ქალაქი ლონდონი ხომ ამ დღეს 1948 წლიდან მოყოლებული, მთელი 64 წელიწადი ელოდა.

დახურვამდე რამდენიმე საათით ადრე ამერიკისა და ესპანეთის ფინალურ საკალათბურთო მატჩს დავესწარი. ნბა-ს ვარსკვლავებით გაჭედილი ოკეანისგაღმელები და მოქმედი მსოფლიოს ჩემპიონი ესპანელები ოლიმპიადაზე ერთმანეთს მეორედ დაუპირისპირდნენ. ჯგუფური მატჩისგან განსხვავებით, სადაც ესპანელები სოლიდური სხვაობით დამარცხდნენ, ფინალში მედგრად იბრძოლეს, მაგრამ ვერაფერს გახდნენ და ბოლოსლა წააგეს.

ამ თამაშმა უდიდესი ინტერესი გამოიწვია და ფეხბურთის ფინალისგან განსხვავებით, საკალათბურთო დარბაზში სრული ანშლაგი იყო, ფეხზე დასადგომი ადგილიც კი სანთლით საძებარი გახლდათ.

მართლაც, რომ ერთ სიამოვნებად ლირდა DREAM TEAM-ის საოცარი თამაშის ხილვა. მიუხედავად იმისა, რომ მაყურებელთა უმრავლესობა დარბაზში და, მათ შორის მეც, ევროპელებს ვგულშემატკივრობდით, შეუძლებელი იყო, ჯეისონ კიდის, კობი ბრაიანტის, კარმელო ენტონის, ლებრონ ჯეიმსის ფანტა-



# ლონდონში შეხვედრამდე





## სად ვართ ჩვენ: ოცდამეშვიდე ქვეყანა 204 მონაწილიდან

სტიკური თამაშისადმი გულგრილი დარჩენილიყავი და აღფრთოვანებაში არ მოეყვანე. ალბათ, უსამართლობაც იქნებოდა ამერიკელები შინ ჩემპიონის ტიტულის გარეშე დაბრუნებულიყვნენ.

ოლიმპიადის დასკვნით ეტაპზე მთავარი ინტრიგა ის გახლდათ, შეინარჩუნებდა თუ ვერა დიდი ბრიტანეთი გუნდურ ჩათვლაში მესამე ადგილს რუსეთთან ჭიდილში. თამაშების ბოლოსწინა საშეჯიბრო დღეს რუსებმა მოახერხეს ბრიტანელების გადასწრება და სამეულში მასპინძლებისა და ამერიკელების შემდეგ ადგილი დაიბევეს, თუმცა ისიც აღსანიშნავია, რომ სათამაშო სახეობებში მათ ოქროს მედლების აღება ვერ შესძლეს.

პეკინის ოლიმპიური თამაშები ქართველი სპორტსმენებისთვის უდავოდ წარმატებული გამოდგა. ქართული დელეგაცია სამშობლოში 3-3 ოქრო-ბრინჯაოთი და 204 ქვეყანას შორის გუნდური 27-ე ადგილით თავაწეული მოემგზავრება.

ოქროს მედლის გარეშე დარჩნენ ისეთი ქვეყნები, როგორებიცაა: შვედეთი, საბერძნეთი, ხორვატია, სერბეთი, ავსტრია, ირლანდია... ოთხი წლის წინ ათენში 33-ე ადგილზე დავასრულეთ თამაშები, ამჯერად კი 6 საფეხურით წინ წავიწიეთ. ნიშანდობლივია, რომ ჩვენს უკან აღმოჩნდნენ დანია, უნგრეთი, თურქეთი, ბულგარეთი, პორტუგალია, შვეიცარია და სხვა მძლავრი სახელმწიფოები.

ყოფილი საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებიდან კი მხოლოდ რუსეთმა, უკრაინამ და ბელარუსმა გაგვასწრო. ბელარუსთან ოქროს მედლების რაოდენობით თანაბრად კი ვიყავით, მაგრამ სხვა სინჯის მედლებით გვაჯობეს. მარტივი არითმეტიკული გამოთვლით, პეკინში ჩასულ ყოველ ექვს ქართველ ოლიმპიელებზე ერთი მედალი მოდის.

გუშინ პეკინის დროით 20:00 საათზე თამაშების დახურვის ცერემონიალი გაიმართა, რომელიც ბუნებრივია, ისეთი პომპეზური არ ყოფილა, როგორც 8 აგვისტოს გახსნის სანახაობა.

ცერემონიალმა ზუსტად 2 საათს გასტანა და ბევრი ამაღელვებელი წუთიც ახლდა. დახურვის ცერემონიალისას ოთხჯერ მოგვიხდა ფეხზე წამოდგომა ჩინეთის, შემდეგ კაცებს შორის მარათონულ გარბენში გამარჯვებული კენიის, საბერძნეთისა და მომავალი ოლიმპიადის მასპინძელი ბრიტანეთის ჰიმნების აჟღერებისას.

პეკინის მერმა მიო ჯინიონგმა ოლიმპიური დროშა თავის ლონდონელ კოლეგა ბორის ჯონსონს გადააბარა და ბრიტანეთის დედაქალაქმაც ესტაფეტა პეკინისგან ოფიციალურად გადაიბარა. იქვე მოხდა ლონდონის თამაშების პრეზენტაციაც, რომელშიც დევიდ ბექჰემი მონაწილეობდა.

ბოლოს კი იყო ყველაზე ამაღელვებელი წუთი, როდესაც პეკინის ეროვნულ სტადიონზე ოლიმპიური ცეცხლი ჩაქრა და იმ წუთებში ბევრს თვალზე ცრემლიც კი მოადგა.

საქართველოს დელეგაცია სამშობლოსკენ გეზს დღეს, თბილისის დროით დილის 9 საათზე აიღებს ავიაკომპანია „აირზენას" ჩარტერული რეისით და საქართველოს დედაქალაქში სავარაუდოდ 19 ან 20 საათისთვის უნდა ჩამოვიდეს.

ზაფხულის XXIX ოლიმპიური თამაშები უკვე ისტორიის კუთვნილებაა. ოთხი წლის შემდეგ ლონდონში შეხვედრამდე!



# ქვარცხლბეკი

## მძლეოსნობა

**ქალები. 1500 მ**

1. ნენსი ჯიბეტ ლანგატი (კენია) 4.00,23
2. ირინა ლიშჩინსკაია (უკრაინა) 4.01,63
3. ნატალია ტობიასი (უკრაინა) 4.01,78

**ქალები. სიმაღლეზე ხტომა**

1. ტია ელებუ (ბელგია) 2,05
2. ბლანკა ვლაშიჩი (ხორვატია) 2,05
3. ანა ჩიჩეროვა (რუსეთი) 2,03

**ქალები 4X100 მ**

1. აშშ (მერი ვინბერგი, მონიკა ჰენდერსონი, ელისონ ფელიქსი, ხანია რიჩარდსი) 3.18,54
2. რუსეთი (იულია გუშჩინა, ანასტასია კაპაჩინსკაია, ტატიანა ფიროვა, ლუდმილა ლიტვინოვა) 3.18,82
3. იამაიკა (შერიკა უილიამსი, როზმარი უაიტი, შერიფა ლოიდი, ნოველინ უილიამსი) 3.20,40

**კაცები. 800 მ**

1. უილფრიდ ბანგეი (კენია) 1.44,65
2. ისმაილ აჰმედ ისმაილი (სუდანი) 1.44,70
3. ალფრედ კირვა იეგო (კენია) 1.44,82

**კაცები. 5000 მ**

1. კენენისა ბეკელე (ეთიოპია) 12.57,82 (ოლიმპ. რეკორდი)
2. ელიუდ კიპჩოგე (კენია) 13.02,80
3. ედვინ ჩერიოტ სოი (კენია) 13.06,22

**კაცები. 4X100 მ**

1. აშშ (ლაშონ მერიტი, დევიდ ნევილი, ანჯელო ტეილორი, ჯერემი უორინერი) 2.55,39 (ოლიმპ. რეკორდი)
2. ბაჰამის კუნძულები (მაიკლ მეტიუ, კრისტოფერ ბრაუნი, ანდრეტი ბეინი, ანდრეა უილიამსი) 2.58,03
3. რუსეთი (მაქსიმ დუკლინი, ანტონ კოკორინი, ვლადისლავ ფროლოვი, დენის ალექსეევი) 2.58,06

**კაცები. შუბის ტყორცნა**

1. ანდრეას ტორკილდსენი (ნორვეგია) 90,57 (ოლიმპ. რეკორდი)
2. აინარს კოვალსი (ლატვია) 86,64
3. ტერო პიტკამაკი (ფინეთი) 86,16

**კაცები. მარათონი (42,195 კმ)**

1. სამუელ კამაო ვანჯირუ (კენია) 2:06.32 (ოლიმპ. რეკორდი)
2. ჯავად ღარიბი (მაროკო) 2:07.16
3. ცეგაი კებედე (ეთიოპია) 2:10.00

## ბაიდარა და კანოე

**ქალები. ერთადგილიანი ბაიდარა. 500 მ**

1. ინა ოსიპენკო-რადომსკა (უკრაინა) 1.50,673
2. ჯოზეფა იდემი (იტალია) 1.50,677
3. კატრინ ვაგნერ-აგუსტინი (გერმანია) 1.51,022

**ქალები. ორადგილიანი ბაიდარა. 500 მ**

1. კატალინ კოვაჩი, ნატაშა იანიჩი (უნგრეთი) 1.41,308
2. ანეტა კონეჩნა, ბეატა მიკოლაიჩიკი (პოლონეთი) 1.42,092
3. ანა-ლაურა ვიარი, მარი დელატრე (საფრანგეთი) 1.42,126

**კაცები. ერთადგილიანი ბაიდარა. 500 მ**

1. კენ უოლესი (ავსტრალია) 1.37,252
2. ადამ ვან კოვერდენი (კანადა) 1.37,630
3. ტიმ ბრაბანტსი (დიდი ბრიტანეთი) 1.37,671

**კაცები. ერთადგილიანი კანოე. 500 მ**

1. მაქსიმ ოპალევი (რუსეთი) 1.47,140
2. დავიდ კალი (ესპანეთი) 1.48,397
3. იური ჩებანი (უკრაინა) 1.48,766

**კაცები. ორადგილიანი ბაიდარა. 500 მ**

1. კარლოს პერესი, საულ კრავიოტო (ესპანეთი) 1.28,736
2. ტიმ ვაისკოფლერი, რონალდ რაუჰე (გერმანია) 1.28,827
3. ვადიმ მაჰნო, რომან პიატრუშენკა (ბელარუსი) 1.30,005

**კაცები. ორადგილიანი კანოე. 500 მ**

1. მენიუნ იანი, გუანლან მენი (ჩინეთი) 1.41,025
2. ალექსანდრ კოსტოგლოდი, სერგეი ულეგინი (რუსეთი) 1.41, 282
3. ტომაშ ვილენეცკი, კრისტიან გილე (გერმანია) 1.41,964

## ველორბოლა. სამთო კროსი

**ქალები**

1. საბინ სპიტცი (გერმანია) 1:45.11
2. მაია ვლოშჩოვსკა (პოლონეთი) 1:45.52
3. ირინა კალენტიევა (რუსეთი) 1:46.28

**კაცები**

1. ჟულიენ აბსალონი (საფრანგეთი) 1:55.59
2. ჟან-კრისტოფ პერო (საფრანგეთი) 1:57.06
3. ნინო შურტერი (შვეიცარია) 1:57.52

## მაგიდის ჩოგბურთი

**კაცები. პირადი**

1. ლინ მა (ჩინეთი)
2. ჰაო ვანგი (ჩინეთი)
3. ლიქინ ვანგი (ჩინეთი)

## წყალში ხტომა

**კაცები. პირადი. 10-მეტრიანი კოშკი**

1. მეტიუ მიტჩემი (ავსტრალია) 537,95
2. ლუქსინ ცოუ (ჩინეთი) 533,15
3. გლებ გალპერინი (რუსეთი) 525,80

## სინქრონული ცურვა

**გუნდური**

1. რუსეთი (ანასტასია დავიდოვა, მარია გრომოვა, ნატალია იშჩენკო, ოლგა კუჟელა, ელენა ოვჩინიკოვა, ანა შორინა, ანასტასია ერმაკოვა, ელვირა ხასიანოვა, სვეტლანა რომაშინა) 99,500
2. ესპანეთი (ალბა მარია კაბელო, რეიჩელ კორალი, ტაის ჰენრიკესი, ლაურა ლოპესი, ინა როდრიგესი, პაოლა ტირადოსი, ანდრეა ფუენტესი, ჰემა მენხუალი, გიზელა მორონი) 98,251
3. ჩინეთი (ვენვენ იანი, ოუ ლიუ, ქიუფინ სუნი, ნა ვანი, ქსუჩენ ჰუანი, ბეიბი ქუ ქსი ლო, ქსიაოიან ჟანგი, ტინტინ იანი) 97,334

## ბეისბოლი

**ქალები**

1. სამხრეთ კორეა
2. კუბა
3. აშშ

## წყალბურთი

**კაცები**

1. უნგრეთი
2. აშშ
3. სერბეთი

## ფეხბურთი

**კაცები**

1. არგენტინა
2. ნიგერია
3. ბრაზილია

## მხატვრული ტანვარჯიში

**პირადი. მრავალჭიდი**

1. ევგენია კანაევა (რუსეთი) 75,500
2. ინა ჟუკოვა (ბელარუსი) 71,925
3. ანა ბესონოვა (უკრაინა) 71,875

**გუნდური**

1. რუსეთი (მარგარიტა ალიჩუკი, ელენა პოსევინა, ანა გავრილენკო, დარია შკურიხინა, ტატიანა გორბუნოვა, ნატალია ზუევა) 35,550
2. ჩინეთი (იანიან ლუ, ტაო ჩო, დიან სუნი, შუ ძენგი, ტონტონ კაი, იანშუან სუი) 35,225
3. ბელარუსი (გლაფირა მარტინოვიჩი, ანასტასია ივანკოვა, ქსენია სანკოვიჩი, ზინაიდა ლუნინა, ალინა ტუმილოვიჩი, ოლესია ბაბუშკინა) 34,900

## ტაეკვანდო

**ქალები. +67 კგ**

1. მარია დელ როსარიო ესპინოზა (მექსიკა)
2. ნინა სოლჰეიმი (ნორვეგია)
3. სარა სტივენსონი (დიდი ბრიტანეთი)
3. ნატალია ფალავიგნა (ბრაზილია)

**კაცები. +80 კგ**

1. დონგ მინ ჩა (სამხრეთ კორეა)
2. ალექსანდროს ნიკოლაიდისი (საბერძნეთი)
3. არმან ჩილმანოვი (ყაზახეთი)
3. ჩიკა იაგაზი ჩუკვუმერიჯე (ნიგერია)

## კრივი

**48 კგ**

1. შიმინ ცუ (ჩინეთი)
2. სერდამბა პურევდორჯი (მონღოლეთი)
3. იანკიელ ერნანდესი (კუბა)
3. რეიდ ბარნსი (ირლანდია)

**51 კგ**

1. სომჯიტ ჯონჯოჰორი (ტაილანდი)
2. ანდრის ლაფიტა ერნანდესი (კუბა)
3. ვინჩენცო პიკარდი (იტალია)
3. გიორგი ბალახნინი (რუსეთი)

**54 კგ**

1. ბადარ-უგან ენკჰბატი (მონღოლეთი)
2. იანკელ ლეონ ალარსონი (კუბა)
3. ბრუნო ჟული (მავრიკეთი)
3. ვიაჩესლავ გოიანი (მოლდოვა)

**57 კგ**

1. ვასილ ლომაშჩენკო (უკრაინა)
2. ჰედაფი ჟელჰირი (საფრანგეთი)
3. იაკუპ კილიჩი (თურქეთი)
3. შაჰინ იმრანოვი (აზერბაიჯანი)

**60 კგ**

1. ალექსეი ტიშჩენკო (რუსეთი)
2. დაუდ სოუ (საფრანგეთი)
3. ჰრაჩ ჯავახიანი (სომხეთი)
3. ერდენის უგას ერნანდესი (კუბა)

**64 კგ**

1. ფელიქს დიასი (დომინიკის რესპუბლიკა)
2. მანუს ბუნჯუმნონგი (ტაილანდი)
3. როიელ იგლესიას სოტოლონგო (კუბა)
3. ალექსის ვასტინი (საფრანგეთი)

**69 კგ**

1. ბაკჰუტ სარსეკბაევი (ყაზახეთი
2. კარლოს სუარესი (კუბა)
3. კიმ კუნ კუ (სამხრეთ კორეა)
3. სილამუ ჰანატი (ჩინეთი)

**75 კგ**

1. ჯეიმს დეგეილი (დიდი ბრიტანეთი)
2. ემილიო კორეა (კუბა)
3. დარენ-ჯონ საზერლენდი (ირლანდია)
3. ვიჯენდერ კუმარი (ინდოეთი)

**81 კგ**

1. ჟენ სიაოპინი (ჩინეთი)
2. კენეტ იგანი (ირლანდია)
3. ტონი ჯეფრისი (დიდი ბრიტანეთი)
3. ერკებულან შინალიევი (ყაზახეთი)

**91 კგ**

1. რახიმ ჩახკიევი (რუსეთი)
2. კლემენტე რუსო (იტალია)
3. ოსმაი აკოსტა დუარტე (კუბა)
3. დონტეი ვაილდერი (აშშ)

**+91 კგ**

1. რობერტო კამარელი (იტალია)
2. ჟიჟი ჟანგი (ჩინეთი)
3. ვიაჩესლავ გლაზკოვი (უკრაინა)
3. დევიდ პრაისი (დიდი ბრიტანეთი)

## კალათბურთი

**ქალები**

1. აშშ
2. ავსტრალია
3. რუსეთი

**კაცები**

1. აშშ
2. ესპანეთი
3. არგენტინა

## ფრენბურთი

**ქალები**

1. ბრაზილია
2. აშშ
3. ჩინეთი

**კაცები**

1. აშშ
2. ბრაზილია
3. რუსეთი

## ხელბურთი

**ქალები**

1. ნორვეგია
2. რუსეთი
3. სამხრეთ კორეა

**კაცები**

1. საფრანგეთი
2. ისლანდია
3. ესპანეთი

## ბალახის ჰოკეი

**კაცები**

1. გერმანია
2. ესპანეთი
3. ავსტრალია

## ქვეყნები და მედლები

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 1. ჩინეთი | 51 | 21 | 28 | 100 |
| 2. აშშ | 36 | 38 | 26 | 110 |
| 3. რუსეთი | 23 | 21 | 28 | 72 |
| 4. დიდი ბრიტანეთი | 19 | 13 | 15 | 47 |
| 5. გერმანია | 16 | 10 | 15 | 41 |
| 6. ავსტრალია | 14 | 15 | 17 | 46 |
| 7. სამხ. კორეა | 13 | 10 | 8 | 31 |
| 8. იაპონია | 9 | 6 | 10 | 25 |
| 9. იტალია | 8 | 10 | 10 | 28 |
| 10. საფრანგეთი | 7 | 16 | 17 | 40 |
| 11. უკრაინა | 7 | 5 | 15 | 27 |
| 12. ჰოლანდია | 7 | 5 | 4 | 16 |
| 13. იამაიკა | 6 | 3 | 2 | 11 |
| 14. ესპანეთი | 5 | 10 | 3 | 18 |
| 15. კენია | 5 | 5 | 4 | 14 |
| 16. ბელარუსი | 4 | 5 | 10 | 19 |
| 17. რუმინეთი | 4 | 1 | 3 | 8 |
| 18. ეთიოპია | 4 | 1 | 2 | 7 |
| 19. კანადა | 3 | 9 | 6 | 18 |
| 20. პოლონეთი | 3 | 6 | 1 | 10 |
| 21-22. უნგრეთი | 3 | 5 | 2 | 10 |
| 21-22. ნორვეგია | 3 | 5 | 2 | 10 |
| 23. ბრაზილია | 3 | 4 | 8 | 15 |
| 24. ჩეხეთი | 3 | 3 | - | 6 |
| 25. სლოვაკეთი | 3 | 2 | 1 | 6 |
| 26. ახ. ზელანდია | 3 | 1 | 5 | 9 |
| 27. საქართველო | 3 | - | 3 | 6 |
| 28. კუბა | 2 | 11 | 11 | 24 |
| 29. ყაზახეთი | 2 | 4 | 7 | 13 |
| 30. დანია | 2 | 2 | 3 | 7 |
| 31-32. მონღოლეთი | 2 | 2 | - | 4 |
| 31-32. ტაილანდი | 2 | 2 | - | 4 |
| 33. ჩრდ. კორეა | 2 | 1 | 3 | 6 |
| 34-35. არგენტინა | 2 | - | 4 | 6 |
| 34-35. შვეიცარია | 2 | - | 4 | 6 |
| 36. მექსიკა | 2 | - | 1 | 3 |
| 37. თურქეთი | 1 | 4 | 3 | 8 |
| 38. ზიმბაბვე | 1 | 3 | - | 4 |
| 39. აზერბაიჯანი | 1 | 2 | 4 | 7 |
| 40. უზბეკეთი | 1 | 2 | 3 | 6 |
| 41. სლოვენია | 1 | 2 | 2 | 5 |
| 42-43. ბულგარეთი | 1 | 1 | 3 | 5 |
| 42-43. ინდონეზია | 1 | 1 | 3 | 5 |
| 44. ფინეთი | 1 | 1 | 2 | 4 |
| 45. ლატვია | 1 | 1 | 1 | 3 |
| 46-49. ბელგია | 1 | 1 | - | 2 |
| 46-49. დომინიკანის რესპ. | 1 | 1 | - | 2 |
| 46-49. ესტონეთი | 1 | 1 | - | 2 |
| 46-49. პორტუგალია | 1 | 1 | - | 2 |
| 50. ინდოეთი | 1 | - | 2 | 3 |
| 51. ირანი | 1 | - | 1 | 2 |
| 52-55. ბაჰრეინი | 1 | - | - | 1 |
| 52-55. კამერუნი | 1 | - | - | 1 |
| 52-55. პანამა | 1 | - | - | 1 |
| 52-55. ტუნისი | 1 | - | - | 1 |
| 56. შვედეთი | - | 4 | 1 | 5 |
| 57-58. ხორვატია | - | 2 | 3 | 5 |
| 57-58. ლიტვა | - | 2 | 3 | 5 |
| 59. საბერძნეთი | - | 2 | 2 | 4 |
| 60. ტრინიდ. და ტობაგო | - | 2 | - | 2 |
| 61. ნიგერია | - | 1 | 3 | 4 |
| 62-64. ავსტრია | - | 1 | 2 | 3 |
| 62-64. ირლანდია | - | 1 | 2 | 3 |
| 62-64. სერბეთი | - | 1 | 2 | 3 |
| 65-70. ალჟირი | - | 1 | 1 | 2 |
| 65-70. ბაჰამი კუნძ. | - | 1 | 1 | 2 |
| 65-70. კოლუმბია | - | 1 | 1 | 2 |
| 65-70. ყირგიზეთი | - | 1 | 1 | 2 |
| 65-70. მაროკო | - | 1 | 1 | 2 |
| 65-70. ტაჯიკეთი | - | 1 | 1 | 2 |
| 71-79. ჩილე | - | 1 | - | 1 |
| 71-79. ეკვადორი | - | 1 | - | 1 |
| 71-79. ისლანდია | - | 1 | - | 1 |
| 71-79. მალაიზია | - | 1 | - | 1 |
| 71-79. ჰოლანდიის ანტილია | - | 1 | - | 1 |
| 71-79. სინგაპური | - | 1 | - | 1 |
| 71-79. სამხ. აფრიკა | - | 1 | - | 1 |
| 71-79. სუდანი | - | 1 | - | 1 |
| 71-79. ვიეტნამი | - | 1 | - | 1 |
| 80. სომხეთი | - | - | 6 | 6 |
| 81. ტაივანი | - | - | 4 | 4 |
| 82-88. ავღანეთი | - | - | 1 | 1 |
| 82-88. ეგვიპტე | - | - | 1 | 1 |
| 82-88. ისრაელი | - | - | 1 | 1 |
| 82-88. მავრიკეთი | - | - | 1 | 1 |
| 82-88. მოლდოვა | - | - | 1 | 1 |
| 82-88. ტოგო | - | - | 1 | 1 |
| 82-88. ვენესუელა | - | - | 1 | 1 |

# ვლადიმერ რუსია: ცუდი რუსეთი რუმინეთშიც გაიცნეს

*ოლიმპიადა დამთავრდა და ნელ-ნელა გულშემატკივრების ყურადღება სხვა სპორტული მოვლენებისკენ გადაინაცვლებს. შემოდგომაზე საქართველოს ხელბურთელთა ნაკრებს ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი თამაშები ელის. თუ თამაშების დაწყებამდე ჯერ კიდევ ბევრი დრო დარჩა, სამაგიეროდ, მომზადების თვალსაზრისით ეს პერიოდი თითქმის არაფერია, მით უფრო, რომ ჩვენი ნაკრების აქილევსის ქუსლად მეტწილად შეუთამაშებლობა და ამხანაგური თამაშების სიმცირე ითვლება.*

*ქვეყანაში განვითარებულმა მოვლენებმა დაღი ყველაფერს დაასვა და გამონაკლისი არც ხელბურთია. როდიდან დაიწყებს ნაკრები მზადებას, ჯერ დასაზუსტებელია. თუმც მანამდე ჩვენი ლეგიონერების ამბები ვიკითხოთ... გუშინ* ***ვლადიმერ რუსიას*** *რუმინეთში შევეხმიანეთ და იქაურ ამბებთან ერთად მოახლოებულ სანაკრებო თამაშებსაც შევეხეთ.*

— ნაკრებთან ერთად სტუდენტურ ჩემპიონატზე რომ ვიყავი, ფეხის ტრავმა მაწუხებდა. ახლა უკეთ ვარ და „დინამოსთან" ერთად ვემზადები. უკვე ორი ამხანაგური ტურნირი ვითამაშეთ და ორივე მოვიგეთ. პირველში შოთა თევზაძის „ბაკაუც" მონაწილეობდა და სწორედ მათ შევხვდით ფინალში. დაძაბული თამაში გამოვიდა, 39:33 მოვიგეთ.

**— შენი თამაშით თუ ხარ კმაყოფილი?**

— მთლიანობაში კი, ამ ეტაპზე ყველაფერი კარგადაა, უბრალოდ, მაქსიმალისტი ვარ და სულ მეტს ვითხოვ საკუთარი თავისგან. საშუალოდ ექვსი, შვიდი გოლი გამქონდა და მუდმივად ძირითადში ვთამაშობდი. თუ ტრაბახში არ ჩამომართმევთ, „დინამოს" ერთ-ერთ ლიდერად მეც ვითვლებოდი.

**— ძირითადის მოთამაშე კი ხარ, მაგრამ კონკურენტები ც გეყოლება. თან გუნდი გაძლიერებულია ახალი სეზონის წინ...**

— ორი კონკურენტი მყავს, ერთი გამოცდილი, 36 წლის და ერთიც ახალგაზრდა 22 წლის ბიჭი, მაგრამ არა მგონია, რამე პრობლემა მქონდეს. მთავარია, ტრავმამ არ შემიშალოს ხელი და ძირითადში ვიქნები.

**— „დინამომ" წინა სეზონში რუმინეთის ჩემპიონატში მეშვიდე ადგილი დაიკავა, რაც კლუბის ისტორიაში ყველაზე ცუდი შედეგია. ადრე გვითხარი, ამის მიზეზი ის იყო, რომ ახალი გუნდი გაკეთდა და შეუთამაშებლები ვიყავითო. ამ მხრივ როგორაა საქმე. დალაგდა გუნდი?**

— მაშინ 9 მოთამაშე დავიმატეთ. ცვლილებები წლეულსაც იყო, ერთი მაკედონიელი ხაზის მოთამაშე მოვიდა და ოთხი რუმინეთის ახალგაზრდული ნაკრების წევრი. შევთამაშდით და უკვე ანგარიშგასაწევი ძალა ვართ. ორი ტურნირი მოვიგეთ და მესამეს მოგებაც გვინდა. ჩემპიონატში ალბათ ხუთეულისთვის ვიბრძოლებთ. პირველობა გაჭირდება, რადგან სხვა გუნდებიც სერიოზულად გაძლიერდნენ. როგორმე ევროთასებზე გამსვლელი ადგილი უნდა დავიკავოთ.

**— რუმინეთის ჩემპიონატი როდის იწყება?**

— 6 სექტემბერს გვაქვს პირველი ტური და 12-ში უკვე შოთა თევზაძის „ბაკაუს" ვხვდებით. სხვათა შორის, შოთა საუკეთესო მოთამაშედ დაასახელეს ნახსენებ ტურნირზე. მაგრად ითამაშა, თუმც კონკურენტებიც არ ჰყავს სუსტები და მალე გაირკვევა, რამდენ ხანს მოუწევს მოედანზე ყოფნა.

**— ჩვენს ქვეყანაში განვითარებულ მოვლენებს მანდ როგორი გამოხმაურება მოჰყვა?**

— მამხნევებდნენ და გვერდით მედგნენ. ჩემთვის ძალიან რთული იყო თამაში, ფსიქოლოგიურად მიჭირდა. ისე, ამ თემაზე არ ვლაპარაკობდით. აქ სხვა მენტალიტეტის ხალხი ცხოვრობს. დიდად თავი არ მოუკლავთ. ქართველისთვის ცოტა ძნელია ამათთან ურთიერთობა...

**— დიდი დრო არც ნაკრების თამაშებამდე დარჩა...**

— ამ ჯგუფიდან გასვლა წარმოუდგენელია. მთავარია, რომ კარგად ვითამაშოთ, განსაკუთრებით შინ, და გულშემატკივარი გავახაროთ. ბიჭები საამისოდ არაფერს დავიშურებთ.

**ნიკა ძოპაძე**



ბადრი ქართველიშვილის ფოტო


საქართველოს ტელეკომი
TELECOM GEORGIA

გთავაზობთ
ფასდაკლებას საერთაშორისო საუბრებზე

10% - დან 30% - მდე

აირჩიეთ **ორი** ნომერი და დაარეგისტრირეთ „საქართველოს ტელეკომში"
**ერთი ნომერი** - ადგილობრივი, საიდანაც რეკავთ (ქალაქის ტელეფონი)
**მეორე ნომერი** - საზღვარგარეთ, ვისთანაც ისურვებდით ფასდაკლებით საუბარს
(ქალაქის ან მობილური ტელეფონი)

რეგისტრაციისთვის:
დარეკეთ ტელეფონზე - **442020** (დარეგისტრირება უფასოა)
ან
მობრძანდით „საქართველოს ტელეკომის" საკომუნიკაციო და ანგარიშსწორების ცენტრებში.

რაც მთავარია ფასდაკლებით სარგებლობა შესაძლებელია

მხოლოდ **8-10**-ით

**www.telecom.ge**



ტია ელებუს (მარჯვნივ) ბელგიურმა დროშამ ბლანკა ვლასიჩის ხორვატული დაჩრდილა

# ბლანკას ჰაი ტიასგან
## ვლასიჩის ოცნება ელებუმ წაიღო

ოლიმპიადის სამძლეოსნო სექტორში აქამდე ყველაზე უიღბლოთა სახელს ამერიკელები ატარებდნენ, რომელთაც მართალია 7 ოქრო მოიხვეჭეს და ყველა ქვეყანა ჩამოიტოვეს, მაგრამ ლამის ერთი ამდენი თითებშუა გაუსხლტათ და ბევრგან, მაგალითად 4X00 მეტრზე ესტაფეტებში, საერთოდ არაფერი შეხვდათ.

მაგრამ ამერიკელები მაინც დადგნენ სამძლეოსნო ცხრილის თავში. აი, საწყალმა ხორვატებმა რაღა თქვან, რომლებიც ერთადერთი, ისიც უეჭველი ოქროს მოლოდინში იყვნენ და ოლიმპიადის ქალღმერთმა ისიც არ არგუნათ?! სიმაღლეზე მხტომელ ბლანკა ვლასიჩზე ბოლო ერთ წელიწადში იმდენი გვიწერია, თავის დროზე ალბათ პელეზე არ წერდნენ ბრაზილიური გაზეთები. ეს გოგონა ამ თორმეტი, უფრო ზუსტად კი ცამეტი თვის განმავლობაში ყველგან ყველაფერს იგებდა და ზედიზედ გამარჯვებათა რიცხვი 39-ს რომ აცილა, მგონი, თავადაც აერია სათვალავი, მაგრამ ოლიმპიური ოქრო სულ სხვამ დაიკიდა მაღალ კისერზე.

ვლასიჩს წინააღმდეგობა მხოლოდ საწყის და შუა ეტაპებზე გაუწიეს რუსებმა — ანა ჩიჩეროვამ (2,03) და ელენა სლესარენკომ (2,01; 2004 ოლიმპიადის ჩემპიონი). შვედი კაისა ბერგკვისტი საერთოდ არ გახლდათ ოლიმპიადაზე, ტრავმამ სექტორი საბოლოოდ დაატოვებინა, მაგრამ დარჩა ბელგიელი ტია ელებო და ვლასიჩისთვის განგების მიერ გამოტანილი განაჩენიც მან აასრულა.

ვლასიჩი კარგად იყო მომზადებული და მორიგი, ამასთან ცხოვრების უმთავრესი გამარჯვებისთვის ემზადებოდა. მან ერთი ცდით აიღო ყველა სიმაღლე 2,03 მეტრიც კი, 2,05-ზე კი მეორე ცდა დასჭირდა და სწორედ აქ უყელა ელებომ.

ბელგიელი დაბალ სიმაღლეებზეც ჯახირობდა, ერთი ცდით ვერც ერთი ვერ დაძლია, მაგრამ 2,05-ს პირველივე ჯერზე სუფთად გადაავლო აწვართული ტან-ფეხი და ოლიმპიური ჩემპიონიც ამ ერთი, იდეალური ნახტომის წყალობით შეიქნა. 2,07 ვერც ერთმა ვერ აიღო (რეკორდია 2,09).

დამარცხებული ვლასიჩი ტიროდა, მაგრამ მის ყველა ქომაგს დარჩა მომავალში გამარჯვების იმედი. ხორვატი ქალი-კალია ხომ მხოლოდ 24 წლისაა და ეს მისი მეორე სრულფასოვანი ოლიმპიადა იყო. ასე რომ, 2012 წელს ლონდონისთვისაც საბრძოლო ასაკში იქნება.

30 წლის ელიბომ კი, ვისთვისაც ეს ოლიმპიადა მეოთხე გახლდათ, თავისი პირველი მედალი მოიგო, მაგრამ კულტურული ქალია და ცხოვრების უდიდესი წარმატება დარბაისლური კმაყოფილებით აღნიშნა, ამბობდა, მედალი კარგია, მაგრამ შეჯიბრის დროს მასზე ნაკლებად ფიქრობ, მხოლოდ მეტოქის ჯობნის სურვილი გეწევა წინ და ამ დროს მთავარია, საკუთარმა სხეულმა და სადღაც ზევით შემოდებულმა თამასამ არ გიმტყუნონო.

ვლასიჩისგან განსხვავებით, თავისი ფავორიტობა გაამართლა და ჩემპიონობად აქცია კენენისა ბეკელემ, ვინც ეთიოპიას რიგით მეოთხე ოქრო მოუტანა და აქედან ორი პირადად მისია. დიდმა სტაიერმა 10 კილომეტრზე გამარჯვებას 5-ზე პირველობაც მიაყოლა და 1980 წლის შემდეგ წყვილად ამ დისტანციების პირველი მომგები შეიქნა. ახლა ის უკვე სამგზის ჩემპიონია, 10 კილომეტრი ათენშიც მოუგია, თუმც იქ 5-ზე კენიელმა ელიუტ კიპჩიგუმ აჯობა და ბეკელემ მას სამაგიერო აგერ ოთხი წლის შემდეგ გადაუხადა.

4X100 მეტრზე მოესტაფეტეთა უიღბლობამ ბევრ ამერიკელს გულში ცრურწმენა და შიში ჩაუყენა, ემანდ ვინმემ ხომ არ გაგვთვალა და 4X400 მეტროსნებმაც არ წააგონო, მაგრამ მათთვის ყველაფერმა სუფთად ჩაიარა — 400-მეტროსანთა ესტაფეტა ხომ 100-იანებივით ფაცა-ფუცში და წამის მეასედების ისტერიულ თვლაში არ მიდის, ჰოდა, ამანათიც არავის დავარდნია, ქალებმაც და კაცებმაც პირველებმა მიიტანეს ფინიშთან. კაცთა კვარტეტი შეადგინეს ლაშონ მერიტმა, ანჯელიო ტეილორმა, დევიდ ნევილმა და ჯერემი უორინერმა. ინებეთ ქალთა ოთხეულიც — მერი ვაინბერგი, ელისონ ფელიქსი, მონიკ ჰენდერსონი და სანია რიჩარდსი. ისე, ქალებს უფრო გაუჭირდათ, კაცებს კი რა უჭირდათ, პირადულ ოთხას მეტრში პოდიუმის სამივე კაცი — მერიტი, უორნერი, ტეილორი — ეყენათ მწკრივში.

კაცთა შორის შუბის ტყორცნაში მოქმედმა ოლიმპიურმა ჩემპიონმა, ნორვეგიელმა ანდრეს ტორკილდსენმა დამაჯერებლად დაიცვა ტიტული ფინელ მსოფლიოს ჩემპიონ ტერი პიტკამაკისა და სხვათა ხელყოფისგან. ტორკილდსენის საუკეთესო ნატყორცნი გადასცდა 90 მეტრს (90,57), რასაც მხოლოდ რჩეულები ახერხებენ, ისიც ყოველთვის ვერა. პიტკამაკი კი 86,16 მეტრზე გაჩერდა და მას მეექვსე და უკანასკნელ ცდაზე ლატვიელმა აინარს კოვალსმაც გაასწრო.

სულ ბოლოს ეგზოტიკური კენიელები ვახსენოთ, რომელთაც, ისევე როგორც ყველა დიდრონი ტურნირიდან, თავიანთი წილი მედლები გაზიდეს, სულ 14, აქედან ხუთი ოქროსი. 23 აგვისტოს უმაღლესი სინჯის მედალი მოიპოვეს უილფრედ ბუნგეიმ (კაცთა 800მ) და ნენსი ლაგატმა (ქალთა 1500მ). სულ ბოლოს, ოლიმპიადის უკანასკნელ დღეს, ანუ 24 აგვისტოს, კაცთა მარათონში ისარგებლა იმით, რომ რეკორდსმენი ჰაილე გებრსელასიე არ მონაწილეობდა და 2:06.32 შედეგით სამუელ ვანჯირუმ იჩემპიონა.

**ირაკლი ფირაშვილი**

| მძლეოსნობის პირველი ათეული | | | | |
|---|---|---|---|---|
| აშშ | 7 | 9 | 7 | 23 |
| რუსეთი | 6 | 5 | 7 | 18 |
| იამაიკა | 6 | 3 | 2 | 11 |
| კენია | 5 | 5 | 4 | 14 |
| ეთიოპია | 4 | 1 | 2 | 7 |
| ბელარუსი | 1 | 3 | 3 | 7 |
| კუბა | 1 | 2 | 2 | 5 |
| ავსტრალია | 1 | 2 | 1 | 4 |
| ბრიტანეთი | 1 | 2 | 1 | 4 |
| უკრაინა | 1 | 1 | 3 | 5 |



ქალები. ფინალი

ბრაზილია — აშშ 3:1 (25:15, 18:25, 25:13, 25:11)

მე-3 ადგილისთვის

ჩინეთი — კუბა 3:1 (25:16, 21:25, 25:13, 25:20)

კაცები. ფინალი

აშშ — ბრაზილია 3:1 (20:25, 25:22, 25:21, 25:23)

მე-3 ადგილისთვის

რუსეთი — იტალია 3:0 (25:22, 25:19, 25:23)

# პანამერიკული ფრენბურთი
## ამერიკამ და ბრაზილიამ ოლიმპიადა გაიყვეს



ამერიკელთა კაპიტანი ლოი ბოლო

ამერიკულ-ბრაზილიური ნიშნით ჩაიარა ოლიმპიურმა საფრენბურთო ბატალიებმა. ეს ეხება როგორც ჩვეულებრივ, ისე პლაჟის ფრენბურთსაც. აქაც ამ ორი ქვეყნის წარმომადგენლები დომინირებდნენ, უფრო კი მაინც ამერიკელები, რადგანაც მათ პლაჟის ფრენბურთში ორივე ოქრო მოიგეს როგორც ქალთა, ისე კაცთა შორის.

იანკებმა თითქმის იგივე შეძლეს ჩვეულებრივ ფრენბურთშიც, როცა კაცებმაც და ქალებმაც ფინალს უწიეს და ორივეს მეტოქედ ბრაზილია შეხვდა. თუმც საქმე ბოლომდე მხოლოდ კაცებმა მიიყვანეს, რადგანაც ქალებში ოქრო სამხრეთამერიკელებს დარჩათ.

მოდით, ყველაფერს თანმიმდევრობით მივყვეთ და ნაკრებების მიერ ფინალისკენ განვლილ გზაზეც ვთქვათ ორიოდ სიტყვა. ქალებით დავიწყოთ, სადაც ამერიკელები ჯგუფურ ეტაპზე სხვებზე ძლიერად ნამდვილად ვერ გამოიყურებოდნენ. ამის მიუხედავად, ფინალს მაინც საკმაოდ დამაჯერებლად უწიეს და ჯერ მეოთხედფინალში იტალია გაბდღვნეს, მერე კი ნახევარფინალში ძლიერი კუბისგან ქვაქვაზე არ დატოვეს. აქვე ბევრის მიერ ქებულ რუსებზეც გეტყვით, რომლებიც რვა საუკეთესოშიც ძლივს მოხვდნენ, იქ კი მასპინძლებისგან განადგურდნენ.

ბრაზილიელმა ქალებმა ამერიკელებზე ნარნარად იარეს და ჯერ ხომ ჯგუფურ ეტაპზე იფრინეს, არც ამის შემდეგ შეუნელებიათ ტემპი და მიყოლებით გადაუარეს აზიელებს — იაპონიასა და ჩინეთს. სამხრეთამერიკელებმა ფინალიც ასე ალმაფრენით ჩაატარეს და ამერიკელთა გაშმაგებული წინააღმდეგობის მიუხედავად, ადვილად იხეირეს, 3:1. მართლაც, მარიანა შტეინბრეხერის, შეილა კასტროსა და ამათნაირი ვარსკვლავებით გადაჭედილი ბრაზილიის მომრევი დღეისთვის ნაღდად არავინაა. ამიტომ ამერიკელთა ლიდერი ლოგან ტომი ნაფინალევს სულაც არ იყო ცუდ ხასიათზე:

„რა იმედის გაცრუებაზეა საუბარი. აბა, ამათ ვინ მოუგებს, თქვენც ხომ უყურებდით რას აკეთებდნენ? ჩვენ კი ვერცხლითაც კმაყოფილნი ვართ, პროგრამა-მაქიმუმს ისედაც გადავაჭარბეთ“.

კვარცხლბეკის ყველაზე დაბალი საფეხური კი ჩინელებს დარჩათ, რისთვისაც მასპინძლებს კუბელთა დამარცხება მოუწიათ. ძნელია ახსნა, რა დაემართათ თავისუფლების კუნძულის წარმომადგენლებს — ნახევარფინალამდე დიდებულად თამაშობდნენ, მაგრამ ამერიკელებთანაც და ბრინჯაოსთვის ჩინელებთან შეხვედრაშიც სასტიკად ჩაფლავდნენ.

თავის ქალ თანამემამულეებივით აშკარა ფავორიტებად ითვლებოდნენ ბრაზილიელი კაცი ფრენბურთელებიც. მართალია, სამხრეთამერიკელებმა მშობლიურ რიოში ოლიმპიადის წინ ჩატარებულ მსოფლიოს ლიგაზე წაიფორხილეს და ბოლო ოთხ წელიწადში პირველი ტურნირი ვერ მოიგეს, მაგრამ ეს ჩავარდნა მათ ხუმრობაში გაატარეს — აბა, პეკინის წინ ვინ მოიკლავდა თავს, ნაღდ ძალას კი ოლიმპიადაზე გაჩვენებთო.

კი დაიქადნეს, მაგრამ ბრაზილიელებს ჯერ კიდევ ჯგუფურ ეტაპზე შეექმნათ პრობლემები და რუსებთან წააგეს კიდეც. ამის მიუხედავად, მათ მაინც ადვილად გაიალდეს მეოთხედფინალის საგზური, სადაც მასპინძლები დააჩოქეს. სამხრეთამერიკელებმა ჟიბასა და ანდრე ამარალის წინამძღოლობით ნახევარფინალში იტალიაც დაჯაბნეს და ტიტულის შენარჩუნებისთვის ერთი ნაბიჯის გადადგმაღა სჭირდებოდათ, მაგრამ... ამერიკელები გადაელობნენ.

თავად იანკებს კი ფინალმდე უმძიმესი ბრძოლის გადახდა დასჭირდათ ნახევარფინალში, სადაც რუსებს ხუთსეტიან ჯახში გამოჰგლიჯეს გამარჯვება.

ამასთან შედარებით ფინალი ნაკლებად საინტერესო გამოვიდა. ისევე როგორც უკვე ნახსენებ მსოფლიოს ლიგაზე, ამერიკელებმა თავიანთი ბლოკის იდეალური თამაშის წყალობით პირწმინდად ამოკეტეს ბრაზილიური შეტევა — პლანეტის უძლიერეს ფრენბურთელად მიჩნეულმა ჟიბამ ვერაფრით შელეწა ეს ამერიკულ კედელი. იანკთაგან კი კლეიტონ სტენლი გამოირჩა, რომელმაც 20 ქულა მოიხვეჭა და მატჩის ყველაზე შედეგიან მოთამაშედაn იქცა. მას კარგად აუბა მხარი ვეტერანმა კაპიტანმა ლოი ბოლმაც, რომელიც ნამტჩევს ბავშვივით ტიროდა.

ასე რომ, ამერიკელმა ფრენბურთელებმა ოლიმპიადა მესამედ მოიგეს (აქამდე 1984 და 1988 წლებში) და ამით რუსებს გაუტოლდნენ.

თავად რუსებს კი, რომლებიც პირდაპირ აცხადებდნენ, ოქროზე ნაკლებს არაფერს დავჯერდებითო, პეკინში ბრინჯაოთი მოუწიათ დაკმაყოფილება — მესამე ადგილისთვის მატჩში სლავებმა იტალიელები დაჩაგრეს.

**კახა ლომაშვილი**

## ᲙᲐᲚᲐᲗᲑᲣᲠᲗᲘ

ქალები. ფინალი

აშშ — ავსტრალია 92:65

მე-3 ადგილისთვის

რუსეთი — ჩინეთი 94:81

კაცები. ფინალი

აშშ — ესპანეთი 118:107

მე-3 ადგილისთვის

არგენტინა — ლიტვა 87:75



# ᲙᲐᲠᲒᲘ ᲮᲐᲠ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲛᲐᲘᲜᲪ ᲩᲔᲛᲘ ᲚᲐᲜᲓᲘ ᲮᲐᲠ
# ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲐᲛ ᲗᲐᲕᲘ ᲐᲚᲛᲝᲐᲩᲘᲜᲐ

22 აგვისტო. ნახევარფინალი

**ᲔᲡᲞᲐᲜᲔᲗᲘ 91:86 ᲚᲘᲢᲕᲐ**

**ᲔᲡᲞᲐᲜᲔᲗᲘ:** გასოლი (19), ფერნანდესი (18), რეისი (13), ხიმენესი (11)

**ᲚᲘᲢᲕᲐ:** იასაიტისი (19), იასიკევიჩუსი (19), იავტოკასი (15), ლავრინოვიჩი (13), კაუკენასი (11)

ოლიმპიადებზე ტრადიციულად მწვავედ მოთამაშე ლიტვამ დიდი ბრძოლა გაუმართა მსოფლიოს ჩემპიონ ესპანეთს და მეორე-მესამე მეოთხედებში მდევრადაც ამყოფა, მაგრამ ეს უამრავ პერსონალურად და ბოლოსკენ ერთბაშად სამი წამყვანი მოთამაშის გავარდნად დაუჯდა. ესპანეთს აკლდა ოლიმპიადის მსვლელობისას დამტვრეული ვარსკვლავი ხოსე კალდერონი და არც მსროლელი ხუან კარლოს ნავარო ჰყავდა ფორმაში, მაგრამ უკანა ხაზი არ არეულა, ყველამ ფრიადზე შეასრულა თავისი მოვალეობა და ესპანეთმაც უფრო დამაჯერებლად ჩათამაშებულ ბოლო მეოთხედში მოიპოვა ფინალის საგზური.

22 აგვისტო. ნახევარფინალი

**ᲐᲨᲨ 101:81 ᲐᲠᲒᲔᲜᲢᲘᲜᲐ**

**ᲐᲨᲨ:** ენტონი (21), ჯეიმსი (15), ვეიდი (12), ბრაიანტი (12), პოლი (12), ბოში (11), ჰოვარდი (10)

**ᲐᲠᲒᲔᲜᲢᲘᲜᲐ:** სკოლა (28), დელფინო (17), კინტეროსი (12), ნოჩიონი (10)

ამერიკელებმა არგენტინასთან თამაში ისე დაიწყეს, თითქოს მოქმედ ოლიმპიურ ჩემპიონს კი არა, ანგოლას ხვდებიანო და თავიდანვე ბარე ოცქულიანი უპირატესობა მოიპოვეს. ამას ისიც დაერთო, რომ დაშავდა არგენტინელთა ლიდერი მანუ ჯინობილი და ტრიბუნაზე საინტერესო მატჩის სანახავად შეკრებილმა მაყურებელმაც ხელი რომ ჩაიქნია, სწორედ მაშინ ამოძრავდა „მიცვალებული“ არგენტინა, რომელმაც მეორე მეოთხედი 29:19 მოიგო და დიდ შესვენებამდე ამერიკელებს უპირატესობა 9 ქულამდე შეუმცირა. არგენტინელთა ფორვარდმა და კაპიტანმა ლუის სკოლამ ამ ოლიმპიადაზე საუკეთესო მატჩი ჩაატარა, 28 ქულასთან ერთად 11 მოხსნა და ორ-ორი ჩაჭრა-დაფარება გააკეთა, თუმც მისი გუნდი მესამე მეოთხედში მაინც გატყდა.

24 აგვისტო. მე-3 ადგილისთვის

**ᲐᲠᲒᲔᲜᲢᲘᲜᲐ 87:75 ᲚᲘᲢᲕᲐ**

**ᲐᲠᲒᲔᲜᲢᲘᲜᲐ:** დელფინო (20), სკოლა (16), ნოჩიონი (14), კინტეროსი (11), გუტიერესი (11)

**ᲚᲘᲢᲕᲐ:** შიშკაუსკასი (15), კაუკენასი (19), იასიკევიჩუსი (9).

მანუ ჯინობილი ამ თამაშისთვის სიამოვნებით გაცვლიდა თავის ძვირიან ჯინსებს ჩვეულებრივ სათამაშო ფორმაზე, მაგრამ ვაგლახ, ტრავმამ მოედნის პირას გააჩერა და იქიდან აყურებინა ბრინჯაოსთვის გამართული თამაში.

მაგრამ არგენტინელებს ამ მატჩში არც დასჭირდათ თავიანთი საუკეთესო კალათბურთელი, ფიზიკურად აჯობეს ლიტვას და ათენის ოქრო პეკინის ბრინჯაოზე გადაცვალეს. წინა ოთხ ოლიმპიადაზე სამი ბრინჯაოს მომპოვებელი ლიტველები კი ამ ჯერზე, დასანანია და, უმედლებოდ დარჩნენ.

ნამატჩევს ჯინობილი გახარებულიც იყო და მცირედ გულდაწყვეტილიც — „თამაშამდე გარბენა ვცადე, მაგრამ ვერ შევძელი. გმირობა აღარ მიცდია, ვიცოდი, რომ ვერ ვითამაშებდი და ამით უფრო გულს გავუტეხდი ბიჭებს. მე ვამაყობ იმით, რაც მათ გააკეთეს.“

24 აგვისტო. ფინალი

**ᲐᲨᲨ 118:107 ᲔᲡᲞᲐᲜᲔᲗᲘ**

**ᲐᲨᲨ:** კიდი (2), ბრაიანტი (20), ჯეიმსი (14), ენტონი (13), ჰოვარდი (8); ვეიდი (27), პოლი (13), ბოში (8), უილიამსი (7), პრინსი (6), ბუზერი, უილიამსი

**ᲔᲡᲞᲐᲜᲔᲗᲘ:** რუბიო (6), ნავარო (18), ხიმენესი (12), რეიესი (10), პ. გასოლი (21); ფერნანდესი (22), მ. გასოლი (11), გარბახოსა (3), როდრიგესი (2), მუმბრუ (2), ლოპესი

„ქუდს ვიხდით ესპანელთა წინაშე, მაგრამ მწვერვალზე ჩვენ ვბრუნდებით“ — თქვა ლებრონ ჯეიმსმა. 2000 წლის სიდნეის ოლიმპიადის შემდეგ ამერიკელებს. არაფერი მოეგოთ, წაგება კი ორ მსოფლიოს ჩემპიონატზე და 2004 წლის ათენის ოლიმპიადაზე ეწვნიათ, მაგრამ ახლა მათი ბენეფისია და მუსიკაც მათთვის უკრავს — ჯეიმსმა, ბრაიანტმა, ვეიდმა, პოლმა, კიდმა, ჰოვარდმა, ენტონიმ, მოკლედ ნბა-ს ნაკრებმა — რომელიც 1996 წლის ოლიმპიური ნაკრების შემდეგ ყველაზე იდეალურია — დაიბრუნა კალათბურთში უძლიერესის წოდება.

ესპანეთი კი ლებრონის თქმისა არ იყოს, პატივისცემას იმსახურებს. ამ გუნდმა ერთადერთმა გაუძლო ბოლომდე მაიკლ კრჟიჟევსკის „დრიმ თიმს“, ფინალი ფინალს დაამსგავსა და მაშინ როდესაც ნბა-ს დევები აქამდე მეტოქეებს საშუალოდ 30,3 ანადგურებდნენ, ესპანეთმა ფინიშამდე ორნახევარი წუთით ადრე ოთხ ქულამდე შეავიწროვა მომავალი ჩემპიონები.

საზოგადოდ, მეოთხე მეოთხედი თავიდან ბოლომდე დაძაბული და სენსაციის მოლოდინით გაჯერებული იყო. მსოფლიოს ჩემპიონები ჰქვიათ და ესპანელებმა დანებება რას გვიქვიაო, საკუთარი ღირსების დაცვით, თამამად და მოურიდებლად ითამაშეს. მსოფლიოს ერთ-ერთ უძლიერეს ცენტრს და თავადაც საშინელ მტენავ დუაიტ ჰოვარდს ალბათ მთელი ცხოვრება ემახსოვრება, როგორ გადაატენა რუდი ფერნანდესმა ბურთი თავზე.

თამაშის დამთავრებამდე 8 წუთი რომ რჩებოდა, ესპანეთმა 2 ქულამდე შეამცირა სხვაობა — 89:91. ორ წუთზე ოდნავ მეტით ადრე კი კარლოს ხიმენესის სამიანით 104:108 შეაწუხა „ოცნების გუნდი“. მაგრამ ამერიკელები მაინც ერთი თავით მაღლა იდგნენ და როცა დასჭირდათ, მაშინ აგრძნობინეს მეტოქეს, ჩვენ უკეთესნი ვართო — კრჟიჟევსკის ტაიმაუტის შემდეგ ბრაიანტმა ერთ შეტევაში 4 ქულა გააკეთა და ჟესტით ჩააჩუმა მეტოქეები, ცოტა ხანში კი ვეიდმაც ჩააგდო სამიანი და ამერიკამ საბოლოოდ ხელთიგდო მატჩის სადავეები.

მოკლედ, აშშ-მ დამაჯერებლად იმარჯვა. ვეტერანი გამთამაშებელი ჯეისონ კიდი კი ორგზის ოლიმპიური ჩემპიონი შეიქნა, მას ხომ შინ 2000 წელს სიდნეიში მოგებული ოქროც აქვს შენახული.

**ᲘᲠᲐᲙᲚᲘ ᲤᲘᲠᲐᲨᲕᲘᲚᲘ**

## ᲮᲔᲚᲑᲣᲠᲗᲘ

ქალები. ფინალი

ნორვეგია — რუსეთი 34:27

მე-3 ადგილისთვის

სამხრეთ კორეა — უნგრეთი 33:28

კაცები. ფინალი

საფრანგეთი — ისლანდია 28:23

მე-3 ადგილისთვის

ესპანეთი — ხორვატია 35:29

# ᲑᲝᲚᲝ ᲝᲥᲠᲝ ᲤᲠᲐᲜᲒᲔᲑᲡ ᲓᲐᲠᲩᲐᲗ



**ᲞᲔᲙᲘᲜᲘᲡ** ოლიმპიადის უკანასკნელი მედლები კაცმა ხელბურთელებმა გაითამაშეს, სადაც ფინალში ერთმანეთს საფრანგეთი და ისლანდია დაეტაკნენ. თუმც მატჩი არცთუ დაძაბული გამოვიდა, რადგანაც გალები პირველივე ტაიმში წინ გაიჭრნენ და ამის შემდეგ კუნძულელები 5 ბურთზე ახლოს აღარ მიიახლოვეს. შედეგად, ფრანგებმა 28:23 იმარჯვეს და ოქროც დაისაკუთრეს.

გამარჯვებულებიდან განსაკუთრებით ნიკოლა კარაბატიჩია გამოსაყოფი, რომელმაც 8-ჯერ დალაშქრა ისლანდიელთა კარი და ფინალის ყველაზე შედეგიანი მოთამაშეც შეიქნა. თუმც მატჩის ნამდვილი გმირი გალთა შეუდარებელი მეკარე ტიერი ომიერი იყო, რომელიც მთელი ოლიმპიადის განმავლობაში სასწაულებს სჩადიოდა და გუშინაც ლამის მარტომ გააკავა სუპერშემტევი ვიკინგები.

ისლანდიელებს კი ბევრი საწუწუნოც არა აქვთ, რადგანაც მათგან ამდენსაც არავინ ელოდა. იმის ფონზე, რომ ერთ-ერთ ფავორიტად მიჩნეული და მოქმედი მსოფლიოს ჩემპიონი გერმანია ჯგუფში ჩარჩა, ხოლო კაცთა ხელბურთის კიდევ ერთი მონსტრი, წინა, ათენის ოლიმპიადის ჩემპიონი ხორვატია მეოთხე ადგილზე დარჩა, გეიზერების კუნძულის ბინადართა გამოსვლა ზეწარმატებულადაც უნდა ჩაითვალოს.

ერთი ეგაა, რომ ისლანდიელებს შეეძლოთ, თავიანთი ქვეყნისთვის ისტორიაში პირველი ოლიმპიური ოქრო მოეტანათ და ამიტომ ამ შანსის ხელიდან გაშვება კიდევ დიდხანს დარჩებათ სანანებლად. თუმც ვიკინგებს იმით შეუძლიათ დაიმშვიდონ თავი, რომ ისლანდიის ნაკრებს ასე წარმატებულად 1956 წლის შემდეგ არ უთამაშია.

ბრინჯაოს მედლები კი ესპანელების საკუთრებად იქცა, რომლებმაც უკვე ნახსენებ ხორვატიას 35:29 აჯობეს. თუმც ბალკანელები აშკარად უმოტივაციოდ იყვნენ და მათი გუშინდელი მარცხი არავის გაჰკვირვებია. ისე კი, ვარსკვლავებით გაძეძგილ ხორვატთა ასეთი წარუმატებელი თამაში ნაკრებში არსებულ შიდა დაპირისპირების ბრალი უნდა იყოს — ჩანს, გუნდის კაპიტანმა ივანო ბალიჩმა და მსოფლიოს ერთ-ერთმა უძლიერესმა თავდამსხმელმა მირზა ძომბამ პირადი შუღლი ვერ დაივიწყეს და ამით მთლიანად ნაკრებიც აზარალეს.

არანაკლებ საინტერესოდ ჩაიარა ქალთა ტურნირმაც, სადაც ოქრო ნორვეგიელებს დარჩათ. სკანდინავებმა დიდებულად ითამაშეს და ფინალში პირწმინდად გადაუარეს თითქოსდა უძლეველ რუსებს. არადა, სლავები ოლიმპიადის უპირობო ფავორიტებად მიიჩნეოდნენ — პეკინში ჩასვლისას ისინი მოქმედი მსოფლიო ჩემპიონები გახლდნენ. თუმც ნორვეგილებმა ეს აინუნშიც არ ჩააგდეს და შაბათს რუსები უბრალოდ გაბდღვნეს, როცა თითქმის მთელი მატჩის განმავლობაში 8-9 ბურთით ლიდერობდნენ. ერთადერთი, რაც სლავებმა შეძლეს ის იყო, რომ საფინალო სასტვენისთვის ჩამორჩენა ოდნავ შეამცირეს და საბოლოოდ 34:27 წააგეს. ფინალის ყველაზე შედეგიან მოთამაშედ კი ლინ-კრისტინ რიგერჰაუგი იქცა, რომელმაც 9-ჯერ გაუტანა რუსებს.

ბრინჯაო სამხრეთ კორეელებს ერგოთ, რომლებმაც მესამე ადგილისთვის მატჩში უნგრელებს 33:28 სძლიეს.

**ᲙᲐᲮᲐ ᲚᲝᲛᲐᲨᲕᲘᲚᲘ**

## ᲑᲔᲘᲡᲑᲝᲚᲘ

ფინალი

სამხრეთ კორეა — კუბა 3:2

მე-3 ადგილისთვის

აშშ — იაპონია 8:4

## ᲬᲧᲐᲚᲑᲣᲠᲗᲘ

კაცები. ფინალი

უნგრეთი — აშშ 14:10

მე-3 ადგილისთვის

სერბეთი — ჩერნოგორია 6:4

## ᲑᲐᲚᲐᲮᲘᲡ ᲰᲝᲙᲔᲘ

კაცები. ფინალი

გერმანია — ესპანეთი 1:0

მე-3 ადგილისთვის

ავსტრალია — ჰოლანდია 6:2

# მასას ვალენსიური ჰეთ თრიკი


ფელიპე მასა




**უკვე** მას შემდეგ, რაც „ფერარის“ ბრაზილიელმა პილოტმა ფელიპე მასამ ვალენსიაში, ევროპის დიდი პრიზის კვალიფიკაცია მოიგო, FIA-ს (ავტომრბოლთა საერთაშორისო ფედერაცია) ტექნიკურმა დელეგატმა ჩარლი უაიტინგმა განაცხადა, რომ პირველი ნომერი, ანუ პოულ-პოზიციის მფლობელი რბოლას სასტარტო ბადის მარჯვენა მხრიდან დაიწყებდა.

არადა, თავდაპირველი მონაცემებით კვალიფიკაციის მომგები მარცხნივ უნდა მდგარიყო, მაგრამ დამატებითი დაკვირვებების შემდეგ გაირკვა, რომ მარჯვენა მხარე უფრო მომგებიანია და პოულის მფლობელი სწორედ იქიდან დაიწყებდა რბოლას.

ის მცირე გაუგებრობა, რაც ვალენსიურ ეტაპს თან ახლდა, ადვილი გასაგებია — ვალენსია პირველად მასპინძლობდა არათუ ევროპის დიდ პრიზს, არამედ, ზოგადად პირველი ფორმულის რბოლას, თანაც ავტოდრომზე კი არა, ქალაქის ქუჩებში მოწყობილ ტრასაზე და ასეთი პატარა ლაფსუსები მისაღები და ადვილად მოსანელებელი იყო.

სასტარტო ბადის პირველ რიგში, ხსენებულ მარჯვენა პოზიციაზე ფელიპე მასამ სრულიად დამსახურებულად დაიკავა ადგილი. მასა კვალიფიკაციის სამივე ფაზაში საუკეთესო იყო და ეს იმის გათვალისწინებით, რომ წინა ღამის კოკისპირული წვიმის შემდეგ ასფალტი სველი იყო და ასეთ გზაზე რბოლა კი ბრაზილიელს დიდად გულზე არ ეხატება.

მასას სიძლიერე ჩემპიონატის ლიდერმა, „მაკლარენის“ ინგლისელმა მრბოლმა ლუის ჰემილტონმაც აღიარა, ვინაც წამის ორი მეასედით ჩამორჩა ბრაზილიელს. „დღეს მასა ნამდვილად ჩემზე სწრაფი იყო, მაგრამ ჩვენ დიდებული, თითქმის იდეალური მანქანა გვაქვს და ვიმედოვნებ, რომ ხვალ ყველაფერი შეიცვლება“ — ბრძანა ლუისმა.

მეორე რიგში ადგილები „BMW-ზაუბერის“ პოლონელმა რობერტ კუბიცამ და მასას ფინელმა თანაგუნდელმა კიმი რაიკონენმა დაიკავეს, მესამე რიგში კი, უკვე ჰემილტონის ფინელი თანაგუნდელი ჰეიკი კოვალაინენი და „ტორო როსოს“ გერმანელი სებასტიან ფეტელი დადგნენ. ფეტელის ფრანგი თანაგუნდელი სებასტიენ ბურდე მეათე იყო, ანუ „ფერარის“ ძრავიანი „წითელი ხარების“ ორივე მრბოლი კვალიფიკაციის მესამე წრეში გავიდა და ეს ამ გუნდის ისტორიაში საუკეთესო შედეგი გახლავთ.

„რენომ“ კი ვერ ივარგა და „რენოზე“ იმიტომ ვამახვილებთ ყურადღებას, რომ სწორედ ამ გუნდის ღირსებას იცავს ვალენსიელთა და მთლიანად ესპანელთა კერპი ფერნანდო ალონსო. მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი კვალიფიკაციის მეორე ფაზას ვერ გასცდა და მე-12 ადგილით დაკმაყოფილდა. „ძალიან გაწბილებული ვარ. მე-12 სასტარტო პოზიცია აშკარად გაართულებს ხვალინდელ რბოლას, მაგრამ ტრასა ქალაქის ქუჩებშია, სადაც ყველაფერი შეიძლება მოხდეს და მეც ბოლომდე ბრძოლას ვაპირებ“ — განაცხადა ალონსომ.

ვერც ბოლომდე იბრძოლა და ვერც პირველი წრის ბოლომდე — უნდა გენახათ ესპანელ ქომაგთა გაწბილებული და განრისხებული სახეები, როდესაც პირველივე მოსახვევში მათ ჯილას კაძუკი ნაკაჯიმას „უილიამსი“ შეასკდა და შედეგად, ალონსოსთვის მშობლიური რბოლა, რომელსაც ასე მოუთმენლად ელოდა, თითქმის მწვანე შუქის ანთებისთანავე დასრულდა.

პირველ მოსახვევში კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ამბავი მოდა — კოვალაინენმა რაიკონენს გაასწრო და მერე მთელი 45 წრე ფინელი მსოფლიოს ჩემპიონი ამაოდ ცდილობდა თავისი ნაკლებად ტიტულოვანი თანამემამულის დაწევას. ბოლოს, თითქოს დაეწია და მეორე პიტ-სტოპისას ჰეიკი და კიმი ერთდროულად შევიდნენ ბოქსებში. შესვლით კი ერთად შევიდნენ, მაგრამ გამოსვლით რაიკონენმა ძალიან დააგვიანა — საწვავის შევსებისას შლანგი გაიჭედა და უკვე დაძრული მანქანით კიმიმ ერთი მექანიკოსიც დააზიანა.

რაიკონენის უბედურება ამით არ დასრულებულა. ტრასაზე დაბრუნებულს ორი წრეც არ გაევლო, რომ მისი ბოლიდის ძრავამ ბოლი გაუშვა და „ფერარისთვის“ ეს, უკვე საგანგაშოა — შეგახსენებთ, რომ წინა, უნგრულ ეტაპზე იგივე, თანაც ფინიშამდე სამი წრით ადრე მასას მანქანას მოუვიდა და ბრაზილიელს თითქმის გარანტირებული გამარჯვება გაუფრინდა ხელიდან.

მეტი საინტერესო, გუშინ არც არაფერი მომხდარა. მასამ როგორც დაიწყო პირველ პოზიციიდან, თუ პიტ-სტოპებზე შესვლისას დაკარგულ ლიდერობას არ ჩავთვლით, ასე, პელოტონის თავში გალია მთელი 310-კილომეტრიანი გზა და რადგანაც მის „ფერარის“ ამჯერზე არაფერი მოსვლია, კომფორტული უპირატესობით, თანაც ჰეთ-თრიკით მოიგო სეზონში მე-4, კარიერაში კი მე-9 დიდი პრიზი.

მეორე ადგილზე ჰემილტონი გავიდა და შედეგად, ბრიტანელმა გენერალურ კლასიფიკაციაში თავისი უპირატესობა კიდევ უფრო გაზარდა — აქამდე 5 ქულას უგებდა უახლოეს მდევარს (რაიკონენს), ახლა კი მეორე ადგილზე გადასულ მასას, უკვე ექვსით სჯობნის.

**ბახა ლომაძე**

## ფორმულა 1. 59-ე მსოფლიოს ჩემპიონატი მეთერთმეტე ეტაპი

### რბოლის შედეგები

**ევროპის დიდი პრიზი**
**24 აგვისტო. ვალენსია (ესპანეთი)**
დისტანცია 57 წრე — 310,080 კმ

| | |
|---|---|
| 1(1). ფელიპე მასა (ბრაზილია, „ფერარი“) | 1სთ.35წთ.32,340წმ (საშ. სიჩქარე 194,735 კმ/სთ) |
| 2(2). ლუის ჰემილტონი (ბრიტანეთი, „მაკლარენ-მერსედესი) | +5,6 წმ |
| 3(3). რობერტ კუბიცა (პოლონეთი, „BMW-ზაუბერი“) | +37,3 |
| 4(5). ჰეიკი კოვალაინენი (ფინეთი, „მაკლარენ-მერსედესი) | +39,7 |
| 5(7). იარნო ტრული (იტალია, „ტოიოტა“) | +50,6 |
| 6(6). სებასტიან ფეტელი (გერმანია, „ტორო როსო-ფერარი“) | +52,6 |
| 7(13). ტიმო გლოკი (გერმანია, „ტოიოტა“) | +1.07,9 |
| 8(9). ნიკო როსბერგი (გერმანია, „უილიამს-ტოიოტა“) | +1.11,4 |
| 9(8). ნიკ ჰაიდფელდი (გერმანია, „BMW-ზაუბერი“) | +1.22,1 |
| 10(10). სებასტიენ ბურდე (საფრანგეთი, „ტორო როსო-ფერარი“) | +1.29,7 |
| 11(15). ნელსონ პიკე (ბრაზილია, „რენო“) | +1.32,7 |
| 12(14). მარკ ვებერი (ავსტრალია, „რედ ბული-რენო“) | +1 წრე |
| 13(16). ჯენსონ ბატონი (ბრიტანეთი, „ჰონდა“) | +1 წრე |
| 14(18). ჯანკარლო ფიზიკელა (იტალია, „ფორს ინდია-ფერარი“) | +1 წრე |
| 15(19). რუბენს ბარიკელო (ბრაზილია, „ჰონდა“) | +1 წრე |
| 16(11). კაძუკი ნაკაჯიმა (იაპონია, „უილიამს-ტოიოტა“) | +1 წრე |
| 17(17). დევიდ კულტჰარდი (ბრიტანეთი, „რედ ბული-რენო“) | +1 წრე |
| **რბოლას გამოეთიშნენ** | |
| 18(4). კიმი რაიკონენი (ფინეთი, „ფერარი“) | გაიარა 45 წრე |
| 19(20). ადრიან სუტილი (გერმანია, „ფორს ინდია-ფერარი“) | 41 |
| 20(12). ფერნანდო ალონსო (ესპანეთი, „რენო“) | 0 |

*ფრჩხილებში — საკვალიფიკაციო ადგილი*

| პოული | |
|---|---|
| მასა | 1 წთ 38,989 წმ (საშ. სიჩქარე 197,840 კმ/სთ) |

| საუკეთესო წრე | |
|---|---|
| მასა | 1 წთ 38,840 წმ (საშ. სიჩქარე 198,138 კმ/სთ) |

Formula 1

| | ავსტრალია 16 მარტი | მალაიზია 23 მარტი | ბაჰრეინი 6 აპრილი | ესპანეთი 27 აპრილი | თურქეთი 11 მაისი | მონაკო 25 მაისი | კანადა 8 ივნისი | საფრანგეთი 22 ივნისი | ბრიტანეთი 6 ივლისი | გერმანია 20 ივლისი | უნგრეთი 3 აგვისტო | ევროპა 24 აგვისტო | ბელგია 7 სექტემბერი | იტალია 14 სექტემბერი | სინგაპური 28 სექტემბერი | იაპონია 12 ოქტომბერი | ჩინეთი 19 ოქტომბერი | ბრაზილია 2 ნოემბერი | ჯამი |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 ჰემილტონი | 10 | 4 | — | 6 | 8 | 10 | — | — | 10 | 10 | 4 | 8 | | | | | | | 70 |
| 2 მასა | — | — | 10 | 8 | 10 | 6 | 4 | 10 | — | 6 | — | 10 | | | | | | | 64 |
| 3 რაიკონენი | 1 | 10 | 8 | 10 | 6 | — | — | 8 | 5 | 3 | 6 | — | | | | | | | 57 |
| 4 კუბიცა | — | 8 | 6 | 5 | 5 | 8 | 10 | 4 | — | 2 | 1 | 6 | | | | | | | 55 |
| 5 კოვალაინენი | 4 | 6 | 4 | — | — | 1 | — | 5 | 4 | 4 | 10 | 5 | | | | | | | 43 |
| 6 ჰაიდფელდი | 8 | 3 | 5 | — | 4 | — | 8 | — | 8 | 5 | — | — | | | | | | | 41 |
| 7 ტრული | — | 5 | 3 | 1 | — | — | 3 | 6 | 2 | — | 2 | 4 | | | | | | | 26 |
| 8 ალონსო | 5 | 1 | — | — | 3 | — | — | 1 | 3 | — | 5 | — | | | | | | | 18 |
| 9 ვებერი | — | 2 | 2 | 4 | 2 | 5 | — | 3 | — | — | — | — | | | | | | | 18 |
| 10 გლოკი | — | — | — | — | — | — | 5 | — | — | — | 8 | 2 | | | | | | | 15 |
| პიკე — 13, ბარიკელო — 11, როსბერგი — 9, ნაკაჯიმა — 8, ფეტელი — 9, ბატონი — 3, ბურდე — 2 ქულა | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| 1 ფერარი | 1 | 10 | 18 | 18 | 16 | 6 | 4 | 18 | 5 | 9 | 6 | 10 | | | | | | | 121 |
| 2 მაკლარენი | 14 | 10 | 4 | 6 | 8 | 11 | — | 5 | 14 | 14 | 14 | 13 | | | | | | | 113 |
| 3 BMW | 8 | 11 | 11 | 5 | 9 | 8 | 18 | 4 | 8 | 7 | 1 | 6 | | | | | | | 96 |
| 4 ტოიოტა | — | 5 | 3 | 1 | — | — | 8 | 6 | 2 | — | 10 | 6 | | | | | | | 41 |
| 5 რენო | 5 | 1 | — | — | 3 | — | — | 3 | 3 | 8 | 8 | — | | | | | | | 31 |
| რედ ბული — 24, უილიამსი — 17, ჰონდა, — 14, ტორო როსო — 11 ქულა | | | | | | | | | | | | | | | | | | | |

# სარბიელი და კროკო

## წარმოგიდგენთ

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | ინგლისი. პრემიერლიგა | | | | | | |
| | | 25 აგვისტო | | | | | | |
| 18:00 | 50 | პორტსმუთი-მანჩესტერი | 4.70 | 3.40 | 1.75 | 1.97 | 1.27 | 1.15 |
| | | ინგლისი. კონფერენსი | | | | | | |
| | | 25 აგვისტო | | | | | | |
| 18:00 | 97 | ბარტონი-კიდერმინსტერი | 1.75 | 3.30 | 4.20 | 1.14 | 1.23 | 1.84 |
| 18:00 | 98 | მენსფილდი-ნორთვიჩი | 1.57 | 3.50 | 5.50 | 1.08 | 1.22 | 2.13 |
| 18:00 | 99 | ალტრინჰემი-რექსემი | 3.20 | 3.20 | 2.10 | 1.60 | 1.26 | 1.26 |
| 18:00 | 100 | იორკი-ბაროუ | 1.75 | 3.30 | 4.25 | 1.14 | 1.23 | 1.85 |
| 18:00 | 101 | ტორკი-სელისბერი | 1.65 | 3.50 | 4.50 | 1.12 | 1.20 | 1.96 |
| 18:00 | 102 | ლეი-ებსფლითი | 3.50 | 3.20 | 1.95 | 1.67 | 1.25 | 1.21 |
| 18:00 | 103 | გრეისი-ისტბორნი | 1.80 | 3.30 | 4.20 | 1.16 | 1.25 | 1.84 |
| 18:00 | 104 | სტივენეიჯი-ქროული | 1.85 | 3.30 | 3.80 | 1.18 | 1.24 | 1.76 |
| 18:00 | 105 | ფორესტ გრინი-ვეიმუთი | 2.05 | 3.20 | 3.25 | 1.24 | 1.25 | 1.61 |
| 18:00 | 106 | რაშდენი -ჰისტონი | 1.70 | 3.30 | 4.50 | 1.12 | 1.23 | 1.90 |
| 18:00 | 107 | ოქსფორდი-უოკინგი | 1.65 | 3.50 | 4.60 | 1.12 | 1.21 | 1.98 |
| 18:00 | 108 | კემბრიჯი-კეტერინგი | 1.55 | 3.50 | 5.50 | 1.07 | 1.20 | 2.13 |
| | | გერმანია. II ბუნდესლიგა | | | | | | |
| | | 25 აგვისტო | | | | | | |
| 22:45 | 186 | კაიზერსლაუტერნი-ნიურბერგი | 2.50 | 3.20 | 2.60 | 1.40 | 1.27 | 1.43 |
| | | შვეიცარია. ჩელენჯლიგა | | | | | | |
| | | 25 აგვისტო | | | | | | |
| 18:45 | 260 | ვილი-ლუგანო | 2.05 | 3.20 | 3.20 | 1.24 | 1.24 | 1.60 |
| | | საფრანგეთი. II დივიზიონი | | | | | | |
| | | 25 აგვისტო | | | | | | |
| 20:00 | 362 | ნიმი-ლანსი | 4.00 | 3.00 | 1.90 | 1.71 | 1.28 | 1.16 |
| | | ჩეხეთი. გამბრინუსლიგა | | | | | | |
| | | 25 აგვისტო | | | | | | |
| 19:00 | 480 | ბრნო-ბოლესლავი | 2.00 | 3.10 | 3.60 | 1.21 | 1.28 | 1.66 |
| | | ნორვეგია. ტიპელიგა | | | | | | |
| | | 25 აგვისტო | | | | | | |
| 22:00 | 555 | ვოლერენგა-სტრიომსგოდსეტი | 1.70 | 3.50 | 4.30 | 1.14 | 1.21 | 1.92 |
| | | შვედეთი. ალსვენსკა | | | | | | |
| | | 25 აგვისტო | | | | | | |
| 18:00 | 571 | მალმიო-ტრელებორგი | 1.70 | 3.30 | 4.50 | 1.12 | 1.23 | 1.90 |
| 18:00 | 572 | აიკ-ჰამარბი | 2.30 | 3.20 | 2.90 | 1.33 | 1.28 | 1.52 |
| | | 26 აგვისტო | | | | | | |
| 18:00 | 573 | გეფლე-ჰელსინგბორგი | 3.30 | 3.20 | 2.05 | 1.62 | 1.26 | 1.24 |
| | | შვედეთი. სუპერეტა | | | | | | |
| | | 25 აგვისტო | | | | | | |
| 21:00 | 582 | იონკოპინგი-ლანდსკრონა | 2.65 | 3.30 | 2.45 | 1.46 | 1.27 | 1.40 |
| 21:00 | 583 | ატვიდაბერგი-დეგერფორსი | 1.50 | 4.00 | 6.00 | 1.09 | 1.20 | 2.40 |
| | | 26 აგვისტო | | | | | | |
| 21:00 | 584 | ვესბი-ჰეკენი | 2.65 | 3.20 | 2.40 | 1.44 | 1.25 | 1.37 |
| 18:00. | 585 | ბუნკეფლო-ფალკენბერგი | 2.50 | 3.20 | 2.55 | 1.40 | 1.26 | 1.41 |
| | | ფინეთი. ვაიკაუსლიგა | | | | | | |
| | | 25 აგვისტო | | | | | | |
| 19:30 | 601 | კტპ-კურპიო | 2.50 | 3.20 | 2.55 | 1.40 | 1.26 | 1.41 |
| 20:00 | 602 | ჰიკ-ინტერი | 2.05 | 3.20 | 3.10 | 1.24 | 1.23 | 1.57 |
| | | უეფა. ჩემპიონთა ლიგა | | | | | | |
| | | 26 აგვისტო | | | | | | |
| 22:45 | 1 | პანათინაიკოსი-სპარტა | 1.50 | 3.70 | 7.00 | 1.06 | 1.23 | 2.42 |
| 22:45 | 11 | ვისლა-ბარსელონა | 6.20 | 3.60 | 1.50 | 2.27 | 1.20 | 1.05 |
| 22:15 | 12 | პეტრჟალკა-იუვენტუსი | 5.70 | 3.40 | 1.65 | 2.12 | 1.27 | 1.11 |
| | | 27 აგვისტო | | | | | | |
| 20:00 | 2 | ბატე-ლევსკი | 2.50 | 3.30 | 2.65 | 1.42 | 1.28 | 1.46 |
| 21:00 | 3 | კაუნასი-ოლბორგი | 2.50 | 3.20 | 2.70 | 1.40 | 1.29 | 1.46 |
| 21:45 | 4 | დინამო კ-სპარტაკი მ | 1.75 | 3.40 | 4.50 | 1.15 | 1.25 | 1.93 |
| 22:00 | 5 | სტიაუა-გალათასარაი | 2.35 | 3.20 | 2.90 | 1.35 | 1.29 | 1.52 |
| 22:00 | 6 | ფენერბაჰჩე-პარტიზანი | 1.25 | 4.80 | 12.00 | 1.00 | 1.13 | 3.42 |
| 22:15 | 7 | ბაზელი-გიმარაეში | 1.90 | 3.30 | 4.00 | 1.20 | 1.28 | 1.80 |
| 22:45 | 8 | ატლეტიკო-შალკე | 1.80 | 3.50 | 4.20 | 1.18 | 1.25 | 1.90 |
| 22:15 | 9 | მარსელი-ბრანი | 1.20 | 5.30 | 15.00 | 1.00 | 1.11 | 3.91 |
| 22:15 | 10 | ოლიმპიაკოსი-ანორთოსისი | 1.17 | 6.50 | 12.00 | 1.00 | 1.06 | 4.21 |
| 22:15 | 13 | სლავია-ფიორენტინა | 3.00 | 3.10 | 2.35 | 1.52 | 1.31 | 1.33 |
| 22:15 | 14 | არსენალი-ტვენტე | 1.20 | 5.80 | 14.00 | 1.00 | 1.10 | 4.10 |
| 22:15 | 15 | ლივერპული-სტანდარდი | 1.15 | 6.70 | 15.00 | 1.00 | 1.06 | 4.63 |
| 22:45 | 16 | დინამო ზ-შახტიორი დ | 2.45 | 3.30 | 2.75 | 1.40 | 1.29 | 1.50 |
| | | უეფა. უეფას თასი | | | | | | |
| | | 26 აგვისტო | | | | | | |
| 21:00 | 19 | ლოკომოტივი სოფ-ბორაცი | 1.45 | 4.00 | 5.80 | 1.06 | 1.15 | 2.36 |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 28 აგვისტო | | | | | | |
| 22:45 | 20 | ნორდსიელანდი-ქუინი | 1.35 | 4.40 | 7.50 | 1.03 | 1.14 | 2.77 |
| 22:45 | 21 | მოსკოვი-ლეგია | 1.50 | 3.80 | 5.30 | 1.07 | 1.16 | 2.21 |
| 22:45 | 22 | მიდტიულანდი-სიტი | 4.20 | 3.50 | 1.70 | 1.90 | 1.21 | 1.14 |
| 22:45 | 23 | შმონა-ლიტექსი | 2.25 | 3.20 | 2.80 | 1.32 | 1.24 | 1.49 |
| 22:45 | 24 | ჰაპოელი თ ა-ვოივოდინა | 1.80 | 3.40 | 3.75 | 1.17 | 1.21 | 1.78 |
| 22:45 | 25 | ზრინსკი-ბრაგა | 3.80 | 3.40 | 1.80 | 1.79 | 1.22 | 1.17 |
| 22:45 | 26 | ბელუპო-არისი | 2.60 | 3.20 | 2.35 | 1.43 | 1.23 | 1.35 |
| 22:45 | 27 | ვიკინგი-ჰონკა | 1.50 | 3.60 | 6.20 | 1.05 | 1.20 | 2.27 |
| 22:45 | 28 | ჰერტა-ინტერბლოკი ლუბლიანა | 1.15 | 6.50 | 11.00 | 1.00 | 1.04 | 4.08 |
| 22:45 | 29 | ვასლუი-მეტალურგსი ლ | 1.30 | 4.50 | 8.00 | 1.00 | 1.11 | 2.88 |
| 22:45 | 30 | კალმარი-გენტი | 1.80 | 3.30 | 3.80 | 1.16 | 1.22 | 1.76 |
| 22:45 | 31 | რუსენბორგი-იურგორდენი | 1.55 | 3.60 | 4.90 | 1.08 | 1.17 | 2.07 |
| 22:45 | 32 | ლილესტრიომი-კოპენჰაგენი | 2.55 | 3.30 | 2.45 | 1.43 | 1.24 | 1.40 |
| 22:45 | 33 | ჩერნო მორე-მაკაბი ნეთანია | 1.80 | 3.25 | 3.70 | 1.15 | 1.21 | 1.73 |
| 22:45 | 34 | ომონია-აეკ | 3.30 | 3.40 | 1.90 | 1.67 | 1.20 | 1.21 |
| 22:45 | 35 | შტურმი-ციურიხი | 2.35 | 3.20 | 2.70 | 1.35 | 1.25 | 1.46 |
| 22:45 | 36 | ბრიონდბიუ-ჰაკა | 1.20 | 6.00 | 10.00 | 1.00 | 1.07 | 3.75 |
| 22:45 | 37 | ჟილინა-ლიბერეცი | 2.30 | 3.30 | 2.65 | 1.35 | 1.23 | 1.46 |
| 22:45 | 38 | ასტონ ვილა-ჰაფნარფიორდური | 1.07 | 8.00 | 15.00 | 1.00 | 1.00 | 5.21 |
| 22:45 | 39 | ჰაიდუკი-დეპორტივო | 2.90 | 3.20 | 2.20 | 1.52 | 1.25 | 1.30 |
| 22:45 | 40 | ბელინცონა-დნეპრი | 2.70 | 3.30 | 2.25 | 1.48 | 1.22 | 1.33 |
| 22:45 | 41 | გრასჰოპერი-ლეხი | 1.85 | 3.40 | 3.40 | 1.19 | 1.19 | 1.70 |
| 22:45 | 42 | ბეშიქთაში-შიროკი ბრიეგი | 1.15 | 6.50 | 11.00 | 1.00 | 1.04 | 4.08 |
| 22:45 | 43 | რენი-სტაბეკი | 1.45 | 3.70 | 6.50 | 1.04 | 1.18 | 2.35 |
| 22:45 | 44 | ზალცბურგი-სუდუვა | 1.15 | 6.50 | 12.00 | 1.00 | 1.04 | 4.21 |
| 22:45 | 45 | ეტო-შტუტგარტი | 5.50 | 3.70 | 1.50 | 2.21 | 1.17 | 1.06 |
| 22:45 | 46 | დებრეცენი-იანგ ბოიზი | 2.40 | 3.30 | 2.55 | 1.38 | 1.23 | 1.43 |
| 22:45 | 47 | ცრვენა ზვეზდა-აპოელი ნ | 1.40 | 3.90 | 6.50 | 1.03 | 1.15 | 2.43 |
| 22:45 | 48 | სტ პატრიკსი-ელფსბორგი | 3.00 | 3.20 | 2.10 | 1.54 | 1.23 | 1.26 |
| 22:45 | 49 | ნაპოლი-ვლაჟნია | 1.10 | 7.00 | 13.00 | 1.00 | 1.01 | 4.55 |
| | | ინგლისი. თასი | | | | | | |
| | | 26 აგვისტო | | | | | | |
| 22:45 | 715 | იფსვიჩი-კოლჩესტერი | 1.55 | 3.60 | 5.00 | 1.08 | 1.18 | 2.09 |
| 22:45 | 716 | ბარნლი-ოლდემი | 1.75 | 3.40 | 4.00 | 1.15 | 1.21 | 1.83 |
| 22:45 | 717 | კარდიფი-დონსი | 1.70 | 3.40 | 4.35 | 1.13 | 1.22 | 1.90 |
| 22:45 | 718 | ჩელტენემი-სტოკი | 3.50 | 3.40 | 1.85 | 1.72 | 1.21 | 1.19 |
| 22:45 | 719 | ქოვენთრი-ნიუკასლი | 3.60 | 3.30 | 1.85 | 1.72 | 1.22 | 1.18 |
| 22:45 | 720 | ქრიუ-ბრისტოლი | 3.10 | 3.30 | 2.05 | 1.59 | 1.23 | 1.26 |
| 22:45 | 721 | ჰარტლპული-ვესტ ბრომვიჩი | 3.60 | 3.40 | 1.80 | 1.74 | 1.20 | 1.17 |
| 22:45 | 722 | ლიდსი-კრისტალ პალასი | 2.40 | 3.10 | 2.60 | 1.35 | 1.24 | 1.41 |
| 22:45 | 723 | პრესტონი-დერბი | 2.05 | 3.20 | 3.10 | 1.24 | 1.23 | 1.57 |
| 22:45 | 724 | ქპრ-კარლაილი | 1.60 | 3.50 | 5.00 | 1.09 | 1.21 | 2.05 |
| 22:45 | 725 | როტერჰემი-ვულვესჰემპტონი | 3.50 | 3.40 | 1.85 | 1.72 | 1.21 | 1.19 |
| 22:45 | 726 | საუთჰემპტონი-ბირმინგემი | 2.90 | 3.30 | 2.10 | 1.54 | 1.21 | 1.28 |
| 22:45 | 727 | სუონსი-ჰალი | 2.55 | 3.10 | 2.55 | 1.39 | 1.27 | 1.39 |
| 22:45 | 728 | უოტფორდი-დარლინგტონი | 1.60 | 3.50 | 5.00 | 1.09 | 1.21 | 2.05 |
| 22:45 | 729 | უიგანი-ნოტსი | 1.35 | 4.30 | 7.00 | 1.02 | 1.13 | 2.66 |
| 22:45 | 730 | ბოლტონი-ნორთჰემპტონი | 1.45 | 3.70 | 6.00 | 1.04 | 1.16 | 2.28 |
| 22:45 | 731 | მიდლსბრო-იოვილი | 1.30 | 4.30 | 8.00 | 1.00 | 1.11 | 2.79 |
| 22:45 | 732 | რედინგი-ლუტონი | 1.55 | 3.60 | 5.00 | 1.08 | 1.18 | 2.09 |
| | | 27 აგვისტო | | | | | | |
| 22:45 | 733 | ჰადერსფილდი-შეფილდი | 2.90 | 3.30 | 2.10 | 1.54 | 1.21 | 1.28 |
| 22:45 | 734 | ნოტინგემი-სანდერლენდი | 3.00 | 3.30 | 2.05 | 1.57 | 1.21 | 1.26 |
| 22:45 | 735 | ვესტ ჰემი-მაკლესფილდი | 1.20 | 5.00 | 10.00 | 1.00 | 1.07 | 3.33 |
| 22:45 | 736 | ფულემი-ლესტერი | 1.55 | 3.60 | 5.00 | 1.08 | 1.18 | 2.09 |
| 22:45 | 737 | ბლექბერნი-გრიმსბი | 1.30 | 4.50 | 8.00 | 1.00 | 1.11 | 2.88 |
| | | შოტლანდია. თასი | | | | | | |
| | | 26 აგვისტო | | | | | | |
| 22:45 | 703 | კოუდენბითი-დანდი იუნ | 7.00 | 4.30 | 1.35 | 2.66 | 1.13 | 1.02 |
| 22:45 | 704 | დანდი-პარტიკი | 1.75 | 3.50 | 3.80 | 1.16 | 1.19 | 1.82 |
| 22:45 | 705 | დანფერმლაინი-ალოა | 1.50 | 4.00 | 4.80 | 1.09 | 1.14 | 2.18 |
| 22:45 | 706 | ჰამილტონი-კლაიდი | 1.50 | 3.80 | 5.00 | 1.07 | 1.15 | 2.15 |
| 22:45 | 707 | ჰიბერნიანი-მორტონი | 1.30 | 4.50 | 8.00 | 1.00 | 1.11 | 2.88 |
| 22:45 | 708 | ლივინგსტონი-სტ ჯონსტონი | 2.35 | 3.40 | 2.50 | 1.38 | 1.21 | 1.44 |
| 22:45 | 709 | რეითი-ფოლკირკი | 4.00 | 3.60 | 1.70 | 1.89 | 1.19 | 1.15 |
| 22:45 | 710 | სტ მირენი-დამბარტონი | 1.25 | 5.50 | 8.00 | 1.01 | 1.08 | 3.25 |
| | | 27 აგვისტო | | | | | | |
| 22:45 | 711 | არბროთი-ინვერნესი | 5.50 | 4.00 | 1.45 | 2.31 | 1.14 | 1.06 |
| 22:45 | 712 | ეარი-აბერდინი | 5.00 | 3.80 | 1.50 | 2.15 | 1.15 | 1.07 |
| 22:45 | 713 | ბრეჩინი-კილმარნოკი | 4.35 | 3.60 | 1.65 | 1.96 | 1.19 | 1.13 |
| 22:45 | 714 | ჰართსი-ერდრი | 1.25 | 4.80 | 8.50 | 1.00 | 1.08 | 3.06 |

**შესაძლო ცვლილებები დაზუსტეთ ადგილზე**

# კუპერის პრობლემა ენაა

## პეტარ სეგრტი: თავს ქართველად ვთვლი!



საქართველოს ეროვნულმა ნაკრებმა ექტორ რაულ კუპერის სადებიუტო მატჩში სტუმრად დაამარცხა უელსი და ახლა ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩებისთვის ემზადება. კუპერის დებიუტი ჰო, მაგრამ სამწვრთნელო საქმიანობის დიდი წილი ხორვატი პეტარ სეგრტის გაწეული იყო. საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების თავკაცმა უელსამდე ბოლო ორ საკონტროლო მატჩში უთავკაცა ეროვნულ გუნდს და ახლაც, ამ საომარ-პოლიტიკური ქარტეხილების დროს, გუნდი თავად დააკომპლექტა და ბაქოს გავლით უელსში კუპერს ჩაუყვანა.
ბრიტანეთში წასვლამდე კი სეგრტმა რუსული აგრესიის საწინააღმდეგო აქციებშიც მიიღო მონაწილეობა და საერთოდაც, ამ ადამიანმა ჩვენი ქვეყნის სიყვარული უკვე არაერთხელ დაამტკიცა.
თუკი კუპერის გუნდს 6 სექტემბერს ირლანდია ელის, სეგრტის 21-წლამდელებს მოსკოვში რუსეთის წინააღმდეგ უწევს თამაში. სეგრტმა ჯერ არ იცის, სად გაიმართება ეს მატჩი, მაგრამ იმაში კი დარწმუნებულია, რომ წინა შეხვედრის მსგავსად, რომელიც ქართველებმა 2:0 მოუგებს რუსებს, არაფერს დაიშურებენ გამარჯვებისთვის. ხორვატ მწვრთნელს ზემოთნახსენებ თემებზე გუშინ უფრო კონკრეტულად ვესაუბრეთ...

**— რას იტყვით უელსთან მატჩზე?**

— ამ თამაშზე საუბარი, უმჯობესია, ცოტა წინა პერიოდიდან დავიწყოთ. უნდა ითქვას, რომ რუსეთის აგრესიის და სრულიად ბარბაროსული ქმედებების გამო, დიდი შანსი იყო, უელსთან შეხვედრა არც შემდგარიყო. ვერ წარმოიდგენთ, რა პირობებში მოგვიწია ამ მატჩისთვის მზადებამ და როგორ მოვახერხეთ უელსში ჩასვლა.

**— გუნდი აზერბაიჯანის გავლით თქვენ ჩაიყვანეთ ბრიტანეთში და ცხადია, საინტერესოა, ამ ამბის დეტალებიც...**

— ნაკრების თბილისიდან გამგზავრება რომ გამოირიცხა, ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა ნოდარ ახალკაცმა მთხოვა, გუნდი მე შემეკრიბა, შემადგენლობა შემერჩია და ბაქოს გავლით უელსში წამეყვანა. მართალია, მე არ ვარ ეროვნული ნაკრების სამწვრთნელო შტაბში, მაგრამ ნაკრებთა ტექნიკური დირექტორი ვარ და ამ საქმეს სიამოვნებით მოვკიდე ხელი. ამასთან, ვხედავდი, რა ვითარებაში იყო ქართული ფეხბურთი, ზოგადად საქართველო და ამით ჩემი წვლილი შევიტანე საერთო საქმეში.

**— შემადგენლობის სრულად შეკრება მაინც ვერ მოხერხდა...**

— რამდენიმე მოთამაშე სავიზო პრობლემის გამო ვერ ჩამოვიდა უელსში, თუმც ჩემს მიერ ბაქოში წაყვანილმა ყველა ფეხბურთელმა მიიღო ბრიტანული ვიზა და უელსშიც დროულად ჩავედით.

**— ჩახვედით და, კუპერიც შემოგიერთდათ...**

— ჯერ იმას ვიტყვი, რომ ეროვნული ნაკრების მწვრთნელობის კანდიდატი მეც ვიყავი და თავისთავად, მინდოდა, ეს პოსტი მე დამეკავებინა. კი გამიკვირდა, ფედერაციამ სხვა არჩევანი რომ გააკეთა, მაგრამ რა ვუყო. კუპერი ძალიან გამოცდილი მწვრთნელია და იმედია, ჩვენს ეროვნულ ნაკრებს წარმატებას მოუტანს.

**— შემადგენლობაზე ხომ არ ჰქონია რამე შენიშვნები?**

— თავიდან კი გაუკვირდა, ამდენი ახალგაზრდა რომ შევიყვანე შემადგენლობაში, მაგრამ თამაშის მერე საწინააღმდეგო აღარაფერი ჰქონია. ავუხსენი, რომ ქართული ფეხბურთის მომავალი ეს ბიჭები არიან და მათ გარეშე ნაკრები წარმოუდგენელია.

**— მატჩამდე 2 დღე გუნდი კუპერმა ავარჯიშა. თქვენ რა ფუნქცია გქონდათ?**

— მე კუპერს ყველა მოთამაშე დავუხასიათე, განსაკუთრებით 21-წლამდელთა ნაკრების წევრები და ვუთარი, აქცენტი მათზე გაეკეთებინა. ის დიდი მწვრთნელია და საქმეს ალღო იოლად აუღო, თუმცა ცუდი ისაა, რომ ესპანურის და იტალიურის გარდა სხვა ენა არ იცის და მასთან კონტაქტი ძნელია. თუნდაც ახლა, როცა ის ესპანეთშია, ენის პრობლემის გამო ტელეფონით ვერ ვესაუბრები. არადა, მოსათათბირებელი ძალიან ბევრია. ოფიციალური მატჩები კარზეა მომდგარი.

**— მაშ, გუნდს როგორ წვრთნიდა?**

— ერთი-ორ მოთამაშეს ესმოდა ესპანური და მათი დახმარებით იძლეოდა დავალებებს. საბოლოოდ, საწადელს მივაღწიეთ, რაც ძალიან მნიშვნელოვანი იყო ჩვენთვის, მაგრამ თამაშის ხარისხი არ იყო დამაკმაყოფილებელი.

**— ძირითადად ახალგაზრდული ნაკრების წევრთა დამსახურებით მოვიგეთ და ეს ალბათ თქვენთვის ორმაგად სასიხარულო იყო...**

— რა თქმა უნდა, ძალიან გამეხარდა. ბექა გოცირიძე, ამ მატჩის გმირი, ბოლო წამს შევიყვანე შემადგენლობაში. ამან ცოტა არ იყოს, გაკვირვება გამოიწვია, მაგრამ მატჩამდე ვამბობდი, რომ ბექა მაგარია და თავის სიტყვას აუცილებლად იტყვის-თქო. იმ გოლს სხვა ვერ გაიტანდა. თამაშის მერე გოცირიძემ ჩემთან მოირბინა და მითხრა, ეს გოლი შენი დამსახურებააო. ის და 21-წლამდელთა ნაკრების სხვა წევრები ეროვნული გუნდის ხვალინდელი დღეა. ეს უკვე მერამდენედ დამტკიცდა და ამით ამაყი ვარ.

**— მატჩამდე საქართველოს ნაკრებმა რაღაც რიტუალივით შეასრულა...**

— ეს ჩემი ინიციატივით მოხდა. ყველამ ხელები მაღლა აწია და ასე გამოვხატეთ რუსული აგრესიის წინააღმდეგ პროტესტი.

**— იმ რუსეთის წინააღმდეგ, რომელსაც ახალგაზრდული ნაკრები 5 სექტემბერს ეთამაშება...**

— ეს მატჩი მოსკოვში ჩატარდება თუ არა, არ ვიცი. არა მგონია, საქართველოს ნაკრები რუსეთის დედაქალაქში ჩავიდეს და ვნახოთ, რა იქნება. რაც შეეხება ამ შეხვედრის სპორტულ მხარეს, მართლაც ბევრი რამაა გასარკვევი. 5-ში ახალგაზრდულის მატჩია, 6-ში ეროვნულის და, გადასაწყვეტია, სად ითამაშებენ ეროვნული გუნდის კანდიდატი 21-წლამდელები. როგორც უელსთან მატჩმა გამოაჩინა, ახალგაზრდები ეროვნულ ნაკრებს ძალიან სჭირდება, აქეთ რუსეთის ნაკრებთან გვაქვს სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა. მოკლედ, ბევრი რამ ჯერ გაურკვეველია და იმედია, ამ დღეებში მოხერხდება კუპერთან საბოლოოდ შეთანხმება.

**— ბოლოს იმ საპროტესტო აქციაზე გკითხავთ, რომელშიც თქვენც მიიღეთ მონაწილეობა...**

— რუსეთმა საშინელებები დაატრიალა საქართველოში. ეს გაუგონარი აგრესიაა და უფლება არ მქონდა, ამ ვანდალიზმის წინააღმდეგ ჩემი პროტესტი არ გამომეხატა. თავს არ ვიქებ, მაგრამ არაერთმა უცხოელმა საქართველო დატოვა ამ ავბედით პერიოდში, მე კი წასვლა გულში არც გამივლია. ამიტომაც წავედი აქციაზე და როგორც შემეძლო, ჩემი თანადგომა გამოვხატე ქართველების მიმართ. არ ვიცი, რატომ, მაგრამ ამ მოვლენების შემდეგ თავს ქართველად ვთვლი...

**რამაზ ყაველაშვილი**

# ამერი და დინამო: ყველაზე მოსაწყენი



ამერელი გიორგი ხუციძის (№7) გოლი „დინამოს" კარში

**ივლისის** ბოლოს ახალი ქართული საფეხბურთო სეზონი თასის მატჩებით დაიწყო, შემდეგ კი, ცნობილ მიზეზთა გამო, ჩემპიონატის დაწყება შეფერხდა და გუნდები დაკარგული დროის ანაზღაურებას ამხანაგური მატჩებით ცდილობენ.

გუშინწინ საგურამოში, პირველ ლიგაში პრობლემათა გამო ნებით ჩასული „ამერი" ქვეყნის ჩემპიონ თბილისის „დინამოს" გაეჯიბრა და 1:2 წააგო.

სანამ მატჩის მსვლელობაზე ვიტყოდეთ, სხვა რამეზე შევაჩერებთ თქვენს ყურადღებას. მოგეხსენებათ, „დინამოს" უცხოელი მწვრთნელ-ფეხბურრელები ქვეყანაში შექმნილი ვითარების გამო აქაურობას გაეცალნენ. კამერუნელი დონალდ ჯუსი კი რამდენიმე დღე მეზობელ სომხეთში წავიდა, თუმც მალევე გამობრუნდა და „ამერთან" ითამაშა კიდეც. შაბათის „სარბიელში" კი გაცნობეთ, რომ რაინერ ცობელი თბილისში 26 აგვისტოს ჩამოვა.

მიუხედავად იმისა, რომ ეროვნულ ნაკრებში ნათამაშები დავით ლორია, ლევან ხმალაძე და დავით ოდიკაძე შაბათს გამთენიისას ჩამოვიდნენ თბილისში, მწვრთნელმა კახა კაჭარავამ ისინი მაინც ათამაშა.

დიდი ხანი არ არის, რაც მარცხენა მცველი ზაალ ელიავა „დინამოში" ვარჯიშობს და საგურამოში მას დებიუტიც ჰქონდა. შეგახსენებთ, რომ ის რიგის „სკონტოდან" 6 თვით ინათხოვრეს.

მუდამ პრინციპული მეტოქეების დაპირისპირებამ კი ძალიან ულიმღამოდ ჩაიარა. აშკარად მეტს ველოდით „დინამოსგან".

ორივე გუნდის ფეხბურთელები ბევრს ცდებოდნენ ელემენტარულ სიტუაციებში და სახიფათო მომენტები 90 წუთში თითებზე ჩამოსათვლელი იყო. 22-ე წუთზე ლადო ნადირაშვილი გამოსვლაზე შეცდა და ირაკლი სიხარულიძესთან ბრძოლაში ბურთი უხეიროდ მოიგერია, მათე ვაწაძემ კი ამით ისარგებლა და „დინამო" დააწინაურა. ტაიმის მიწურულს კი ამერელებმა გაქვითვა მოახერხეს. ბესიკ ჩიმაკაძემ კოხტად ჩამოიტოვა ორი მცველი და საჯარიმოში ირაკლი ხუციძე მოძებნა, რომელმაც ერთი შეხებით გაიტანა.

მეორე ნახევარში მწვრთნელებმა ბლომად შეცვლები განახორციელეს და 83-ე წუთზე სწორედ შეცვლაზე შესულმა დონალდ ჯუსმა შექმნა საგოლე სიტუაცია, როცა მარცხენა ფრთაზე ადვილად ჩაუარა ზურაბ გვაძაბიას და კარგი პასი მიართვა გულვერდ თომაშვილს, რომელსაც გატანა აღარ გასჭირვებია.

**ნუკრი ლოლაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# დღეს წრეები დაითვლება



სამხედრო მოქმედებები თითქოს შეწყდა, რუსულმა ტანკმა და ჩექმამ საქართველოდან წასვლაც დაიწყო. იმ საშინელ დღეებში კი ფეხბურთზე ფიქრიც შეუძლებელი იყო.

მოგეხსენებათ, ეროვნული ჩემპიონატი ამ დღეებში უნდა დაწყებულიყო და ახალი სამწრიანი სისტემაც შემუშავებული აქვს პროფესიულ ფეხბბურთის ლიგას. თუმცა გაჩნდა საშიშროება, რომ სეზონის დაწყების გადადების გამო ორწრიანი ჩემპიონატი ჩატარებულიყო.

გუშინ პროფესიული ფეხბურთის ლიგის გენერალურ მდივან პაატა ბურჯალიანს შევეხმიანეთ.

— ორშაბათს გამგეობის საგანგებო სხდომა ჩატარდება და უახლოეს გეგმებზე გვექნება მსჯელობა.

— რუსები საქართველოდან გადიან და ეს გვაძლევს იმედს, რომ ჩემპიონატი სამ წრედ ჩატარდეს?

— ამ დღეებში საშეჯიბრო კომიტეტში გვქონდა საუბარი და 13 სექტემბერსაც რომ დავიწყოთ უმაღლესი ლიგა, სამ წრედ ჩატარება შესაძლებელი იქნება. რაც შეეხება თასის თამაშებს, მთავარია, რუსები სამეგრელოდანაც გავიდნენ. მერვედფინალის პირველ მატჩებს 27-31 აგვისტოს ვგეგმავთ. ორშაბათს, ალბათ, ესეც გვეცოდინება.

**ნუკრი ლოლაძე**

# ქვემოქართლური 1:1

**წესით,** გუნდებს ეროვნული ჩემპიონატის კალენდარული მატჩები უნდა ეთამაშათ, თუმც საქართველოში შექმნილი მდგომარეობის გამო ჩემპიონატის დაწყება გადაიდო და ფორმის აღსადგენად ქვემოქართლელებმა, „სიონმა“ და „ოლიმპმა“ ერთმანეთთან ბოლნისში ისპარინგეს და 1:1 ითამაშეს.



ირაკლი შენგელია რუსთაველთა კართან

სანამ უშუალოდ მატჩზე გადავიდოდეთ, ვნახოთ, რა ცვლილებებია გუნდებში: „ოლიმპი“ დატოვა რევაზ გეწაძემ, საქართველოში დაბრუნებას არ ჩქარობს გაბონელი ერნესტ აკუასაგა, ჯერჯერობით გუნდთან ერთად არის, თუმც საჩემპიონატო განაცხადში, რომლის ვადა 31 აგვისტოს იწურება, არ შეუყვანიათ გიორგი დეკანოსიძე, თუ უცხოური ვარიანტი არ გამოუვიდა, რუსთავულ გუნდს, შესაძლოა, გოგი ფიფიაც დაემატოს.

„სიონში“ ერთი ახალი, თუმც მათთვის კარგად ნაცნობი ფეხბურთელია — ვლადიმერ უგრეხელიძე. მისი განაცხადში შეყვანაც უახლოეს დღეებში უნდა გადაწყდეს. სატრანსფერო ფანჯრის დახურვამდე ქვეყნის გარეთ ცდილობს მოწყობას „ამერიდან“ იჯარით გადასული რევაზ გოცირიძე. ერთიც, გუნდის სელექციონერად ლევან ბარათაშვილი იმუშავებს.

შიდაქართლური დერბის საწყისი 30-წუთეული მასპინძელთა სრული უპირატესობით წარიმართა და გოლი რომ ვერ გაიტანეს, უფრო უიღბლობის ბრალი იყო.

ალექსანდრე კოშკაძის შორეულმა გასროლამ ხარიხა შეაზანზარა. გელა ხუბუამ კი მიწიდან ასხლეტილ ბურთს თავი უხერხულად დაუხვედრა.

თამაში თანდათან გათანაბრდა და რუსთაველებიც გაუშინაურდნენ მეტოქის ნახევარს. გიორგი მეგრელაძემ ორჯერ დაარტყა მეტოქის კარისკენ. მინდია ბობღიაშვილმა ერთხელ შესაშური რეაქცია გამოავლინა და ჩინებულად შესრულებული საჯარიმო აუღო.

მეორე ტაიმი კოკა მიკუჩაძის დარტყმით დაიწყო, რომელმაც ძელთან ისე ახლოს ჩაიარა, მაყურებელს გოლიც ეგონა, მალე კი „სიონმა“ გაიტანა.

ჯიქიამ საჯარიმოში ზურგით მდგომმა ჩააწოდა, არეულობაში ყველაზე ადრე კოშკაძე გაერკვა და ანგარიში გახსნა. 55-ე წუთი იყო.

„სიონმა“ 10 წუთით გაიხარა — ბოლნისელმა ნახევარმცველებმა ბურთი დაკარგეს, გიორგი სეთურიძემ მარჯვნივ მეგრელაძე მოძებნა, რომელიც პირისპირ დარჩა მეკარესთან და გაათანაბრა.

მერე თამაში ცოტა დაწყნარდა, ერთადერთი, სულიკო დავითაშვილი ცდილობდა სიტუაციის გამწვავებას, მატჩის ბოლოსკენ არჩილ ალავიძე მეკარესაც შეატოვა, თუმც ბოლნისელმა კუთხე შეიმცირა და...

გუნდებმა ასეთი შემადგენლობებით ითამაშეს:

***სიონი:*** *ბობღიაშვილი, კაკაშვილი (შავგულიძე 55), ლ. სვანიძე, სილაგაძე, ქემოკლიძე, ჭელიძე, კოშკაძე (დ. ბაჯელაძე 73), ქურასბედიანი (უგრეხელიძე 77), ხუბუა (ალავიძე 80), შ. ჯიქია, შენგელია (დავითაშვილი 60)*

***ოლიმპი:*** *სტურუა, მაჭავარიანი, გ. ონიანი, ჩიკვილაძე (ი. ლონლაძე 46), სეთურიძე, დობროვოლსკი, ბაბუნაშვილი (დეკანოსიძე 46), ფეიქრიშვილი, გაბიდაური (გილაური 46), მიკუჩაძე, მეგრელაძე*

**მიხეილ ჟორჟოლიანი**



ამ ეპიზოდში გამარჯვება მეკარე ზვიად სტურუას დარჩა



# ბორა მილუტინოვიჩი: ჩემი სამშობლო თქვენს სამშობლოს მაგონებს

განთქმული სერბი სპეციალისტის ბორა მილუტინოვიჩის სამწვრთნელო ნიჭისა და შესაძლებლობების შესახებ მსოფლიოს საფეხბურთო სამყარომ რა ზანია, კარგად უწყის. მექსიკა, კოსტა რიკა, აშშ, ნიგერია, ჩინეთი — ეს ის ქვეყნებია, მილუტინოვიჩმა მსოფლიოს ჩემპიონატებზე რომ ათამაშა და ამ შედეგით აბსოლუტური რეკორდსმენია.

ერთი ხანობა მილუტინოვიჩი საქართველოს ნაკრების მწვრთნელობის კანდიდატთა გაფართოებულ სიაშიც იყო, თუმცა ამ საქმიდან არაფერი გამოვიდა. მეტიც, მასთან რეალურ მოლაპარაკებამდე საქმე არც მისულა.

შაბათს პეკინის ეროვნულ სტადიონზე ფეხბურთში ოლიმპიური ოქროსთვის ფინალურ მატჩში არგენტინა ნიგერიას დაუპირისპირდა, 1:0 დაამარცხა და ჩემპიონის ტიტულიც დაიცვა.

შესვენებისას პრეს-ლოჟის გვერდით ტრიბუნაზე ბორა მილუტინოვიჩი შევნიშნე, ფოტოს გადაღება ვთხოვე და თათარიახნადაც გამოველაპარაკე.

— ბატონო ბორა, ალბათ გსმენიათ ბოლო დროს საქართველოში განვითარებულ მოვლენებზე...

— რა თქმა უნდა. როგორ შეიძლება ომი და სისხლისღვრა ვინმეს მოსწონდეს? მართალა დავითრგუნე, როდესაც ტელევიზორში ომის კადრები ვნახე. იმედია, თქვენს ქვეყანაში ეს ყველაფერი მალე დასრულდება. ისე, საქართველო ნაწილობრივ ჩემს სამშობლოსაც მაგონებს, თუმცა აღარ ღირს იმ ამბების გახსენება, რაც სერბეთში რამდენიმე წლის წინათ მოხდა.

— ქართულ ფეხბურთზე თუ იცით რამე?

— რომ გითხრათ, კარგად ვიცნობ-მეთქი, მოგატყუებთ. ვიცი, რომ თქვენს ქვეყანაში ფეხბურთი უზომოდ უყვართ და კარგი ტრადიციებიც გაქვთ, მაგრამ ბევრს ვერაფერს გეტყვით. მინახავს კალაძისა და კობიაშვილის თამაშიც.

— იცით, რომ ახლახან საქართველოს ნაკრების მთავარ მწვრთნელად ექტორ კუპერი დაინიშნა?

— დიახ, ეს გავიგე. კუპერი დიდი მწვრთნელია და მინდა, თქვენს ქვეყანაში წარმატებები ვუსურვო.

— თქვენთვის რომ შემოეთავაზებინათ, საქართველოს ნაკრებს ჩაიბარებდით?

— ახლა ძნელია ამაზე საუბარი და გადაჭრით ვერაფერს გეტყვით. თუ ოდესმე შემომთავაზებენ, პასუხსაც მაშინ შეიტყობთ.

**ბახა ბერიძე** *პეკინიდან*

# ივანიშვილისთვის გოლი გამოწერილია



**გიორგი ივანიშვილი** ქების საბაბს კვლავ გვაძლევს. „ციურიხის“ ფეხბურთელმა ამჯერად კლუბის 21-წლამდელთა შემადგენლობაში ითამაშა და გოლითაც გამოირჩა. „კიასოსთან“ 4:3 მოგებულ შეხვედრაში გიორგი 63-ე წუთზე შევიდა მინდორზე, გაათანაბრა, მერე კი საგოლე პასი გააკეთა და გამარჯვებაში ლომის წილი დაიდო.

შეგახსენებთ, რომ 18 წლის ივანიშვილს „ციიურიხის“ ძირითად გუნდში დებიუტი სამი დღის წინ ჰქონდა.

გიორგი განუგრავამ „ბოლესლავის“ მეორე გუნდში ითამაშა. „ლიბერეც B“-სთან მატჩში (1:1) ჩვენიანმა მოედანზე 90 წუთი დაჰყო და სწორედ მისი პასით გაიტანა ანგარიშის გამხსნელი გოლი მილან ტაბორსკიმ.

**ილია ნანობაშვილი**

# ალბისელესტემ არწივი მოკლა

**ფინალი**

**ნიგერია 0:1 არგენტინა**

0:1 დი მარია (58)

**ნიგერია:** ვანზეკინი, ოკონკვო, აპამი, ადელეიე, კაიტა, ობინა, აიზეკი (ეკპო 70), ოკორონკვო (ანიჩებე 64), აჯილორე, ადეფემი, ოდემვინგიე

**მწვრთნელი:** სამსონ სიასია

**არგენტინა:** რომერო, გარაი, მონსონი, საბალეტა, გაგო, რიკელმე, დი მარია (ბანეგა 88), პარეხა, მასკერანო, მესი (ლავეცი 90), აგერო (სოსა 79)

**მწვრთნელი:** სერხიო ბატისტა

**გაფრთხილება:** ობინა, აპამი, დი მარია, მონსონი, რიკელმე

**მსაჯი:** ვიქტორ კასაი (უნგრეთი)

89 102 მაყურებელი

**არგენტინის** ნაკრებმა მიჯრით მეორე ოლიმპიადა მოიგო და ამას ალალადაც იმსახურებდა. ცოტა მძიმედ დაწყებას თუ არ ჩავთვლით, სერხიო ბატისტას შეგირდებმა მთელი ტურნირის განმავლობაში ბრწყინვალე შთაბეჭდილება დატოვეს.

ნიგერია კი გულით შეგეცოდებოდა კაცს. „სუპერარწივებმა" ჩინებულად ითამაშეს და ბოლომდე იბრძოლეს, მაგრამ არ გაუმართლათ.

ლიონელ მესისა და სერხიო აგეროს დებიუტშივე შეექმნათ მეტნაკლებად მწვავე მომენტები. მათ მყისვე უპასუხეს პიტერ ოდემვინგიემ და სოლომონ ოკორონკვომ. არგენტინა ტერიტორიულ უპირატესობას ფლობდა, მაგრამ ნიგერიელთა კონტრშეტევები უფრო სახიფათო გახლდათ და თითქოს აფრიკელებმა პირველივე ტაიმში მოამწიფეს გოლი, მაგრამ ამ საქმიდან არაფერი გამოვიდა.

ყველაფერი 58-ე წუთზე გადაწყდა, როცა ნიგერიელებმა შეტევაში სულელურად დაკარგეს ბურთი და „ალბისელესტემ" მეტოქე კონტრშეტევაზე გამოიჭირა. არგენტინელთა ლიდერმა ლიონელ მესიმ მშვენიერი პასი გაუჭრა მთელი ტურნირის განმავლობაში დიდებულად მოთამაშე ანხელ დი მარიას და „ბენფიკას" თავდამსხმელმაც წინ გამოსულ ვანზეკინს ბურთი თავზე ოსტატურად გადაუგდო .

„სუპერარწივები" არ გატყდნენ და 3-4 მწვავე მომენტი შექმნეს. ყველაზე რეალური შანსი 84-ე წუთზე ჰქონდათ, როცა ვიქტორ ანიჩებეს დარტყმისას სერხიო რომერომ ბრწყინვალე რეაქცია გამოავლინა და აფრიკელთა იმედი დაასამარა.

ეს ზედიზედ მეორე ოქრო არგენტინისთვის მთლიანობაშიც მეორეა. 1996 წლის ოლიმპიური ჩემპიონი ნიგერია ვერცხლს დასჯერდა, ხოლო ბრინჯაო ბრაზილიას შეხვდა. როგორც იცით, „სელესაომ" მესამე ადგილისთვის მატჩში ბელგია გაანადგურა — 3:0.

სერხიო აგერო: „საოცარი შეგრძნებაა, სიტყვებით ვერ გადმოგცემთ. შარშან 20-წლამდელთა მსოფლიოს ჩემპიონატი მოვიგე, ახლა კი ოლიმპიადა. თან მესის დარ მეგობრებთან ერთად ამის მიღწევა კიდევ უფრო სასიამოვნოა. ეს ტიტული განსაკუთრებული იმითაც არის, რომ დიეგო მარადონა გვადევნებდა თვალყურს. მან მომილოცა და მითხრა, ტურნირი ბრწყინვალედ ჩაატარეო. მეტი რაღა უნდა ვინატრო..."

„სანამ ჩინეთში ჩამოვიდოდი, ხალხმა ბევრი უსიამოვნო რამ თქვა. ამიტომ, ჩემთვის ამ ოქროს მედალს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. ვფიქრობ, იმიტომ გავიმარჯვეთ, რომ ჩინებული შემადგენლობა გვყავდა, ფაქტობრივად, არავინ გვაკლდა. ეს მინდორზეც დამტკიცდა" — თქვა მესიმ.

არგენტინელთა კაპიტანი ხუან რომან რიკელმე: „ძალიან გახარებული ვარ, საოცარი გრძნობაა. თან ეს ჩემი ბოლო საოლიმპიადო შანსი იყო. ოქროს მედალს დიდხანს არ მოვიხსნი. რწმენა არასოდეს დამიკარგავს, ჩვენი გამარჯვების მჯეროდა. შესაძლოა, ფინალი ისეთი შთამბეჭდავი არ იყო, მაგრამ ეს ბუნებრივიცაა. მთავარია, მოვიგეთ და უამრავი ადამიანი გავახარეთ".



დი მარიამ ვანზეკინს ბურთი თავზე გადააგდო

„ეს, უბრალოდ, დაუჯერებელია. ჩემი ქალიშვილი ჯერ დაბადებული არ იყო, ათენში ოქროს მედალი რომ მოვიპოვე, ახლა კი ამ გამარჯვებას მასთან ერთად ვიზეიმებ. არ აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა, რა მოხდება ჩემს დარჩენილ სათამაშო კარიერაში. ფაქტია, ამ დიდ სიამაყეს და ტიტულს ველარავინ წამართმევს. ვგრძნობ, რაღაც განსაკუთრებულს მივაღწიე, თან ფეხბურთის დარ რთულ სპორტში. მოვიგეთ, რადგან შემტევ ფეხბურთს ვთამაშობდით და სტილი ერთი წუთითაც არ შეგვიცვლია. ნახევარფინალში ბრაზილია დავამარცხეთ და ჩვენთვის ეს მართლაც ბრწყინვალე ტურნირი იყო" — აღნიშნა ხავიერ მასკერანომ, ვინც პირველი არგენტინელი გახდა, რომელსაც ორი ოლიმპიური ოქრო აქვს.

**გიორგი ძაძამაძე**

# ჩიტის ბუდე, მესი, მარადონა...





**პეკინის** ეროვნულმა სტადიონმა „ჩიტის ბუდემ", რომელიც, უდავოდ, არქიტექტურულ შედევრად უნდა მივიჩნიოთ, ოლიმპიადის საზეიმო დახურვამდე ერთი დღით ადრე ფეხბურთში ოქროს მედლებისთვის ფინალურ მატჩს უმასპინძლა არგენტინისა და ნიგერიის გუნდებს შორის. შეხვედრა ფინალისთვის უჩვეულო დროს — დღის 12 საათზე დაინიშნა, რამაც დიდი გაკვირვება გამოიწვია, თუმცა თამაშების საორგანიზაციო კომიტეტის ნების წინააღმდეგ ვერავინ წავიდოდა.

მატჩის დღეს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის დედაქალაქში დილიდანვე პაპანაქება სიცხემ დააჭირა და მასმედიის წარმომადგენლებში ერთგვარად სკეპტიკური განწყობა გაჩნდა, რომ ამას, შესაძლოა, შეხვედრის სანახაობრივ მხარეზე უარყოფითად ემოქმედა. შუადღით, აუტანელი სიცხის პირობებში ფეხბურთის თამაში ადვილი საქმე არ არის, თანაც გადამწყვეტ შეხვედრაში, სადაც სასწორის პინაზე ოლიმპიური ოქროს მედლები დევს და ფეხბურთელების დაძაბულობაც ზღვარს სცილდება.

„ჩიტის ბუდეზე" მატჩამდე 40 წუთით ადრე მივედი და ჟურნალისტებისთვის განკუთვნილ პრესლოჟაში მოვკალათდი, რომელიც ჯერ სანახევროდ ცარიელი იყო, თუმცა, ბუნებრივია, მოგვიანებით მთლიანად შეივსო. ვერ ვიტყვი, რომ 91-ათასიანი სტადიონი პირთამდე შეივსო და ნემსის ჩასავარდნი ადგილიც არ იყო-მეთქი, რამაც ჩემი გაოცება გამოიწვია, მაგრამ არც ისე გაიგოთ, თითქოს მატჩი ცარიელი ტრიბუნების თანხლებით მიმდინარეობდა — ჟურნალისტებისა და ოფიციალური პირების ჩათვლით, შეხვედრას 80 ათასზე მეტი გულშემატკივარი დაესწრო. ჯერ კიდევ მატჩისწინა მოთელვისას, ლიონელ მესის ბურთთან ყოველ შეხებას მაყურებელი ისეთ აღფრთოვანებაში მოჰყავდა, უკვე წარმომედგინა, არგენტინელს გოლი რომ გაეტანა, ტრიბუნებზე რა მოხდებოდა. შეუიარაღებელი თვალითაც ადვილი შესამჩნევი იყო, რომ გულშემატკივართა უდიდესი ნაწილი სწორედ „ბარსელონას" ფეხბურთელის თამაშის ცოცხლად სანახავად იყო მოსული და მათთვის სულერთი იყო, ვინ გაიმარჯვებდა. ასე, მაგალითად, როცა 58-ე წუთზე არგენტინელმა დი მარიამ მესის ბრწყინვალე დრიბლინგისა და შედევრი გადაცემის შემდეგ ანგარიში გახსნა, სტადიონი ოვაციისგან ლამის დაინგრა, ხოლო მას შემდეგ მოყოლებული, აფრიკელთა მიერ შექმნილი ყველა სახიფათო ეპიზოდისას, მაყურებელს იდენტური რეაქცია ჰქონდა.

მატჩის დეტალურად აღწერას ნამდვილად არ შევუდგები, უბრალოდ, აღვნიშნავ, რომ მან გულშემატკივართა მოლოდინი მეტ-ნაკლებად გაამართლა და ფინალისთვის შესაფერისად უშელავათო გამოდგა, რაც საბოლოო ანგარიშიდანაც ჩანს. რაც შეეხება სანახაობრივ მხარეს, მხოლოდ ლიონელ მესის თამაში რად ღირდა, რომელსაც ხანდახან თვით ნიგერიელთა გულშემატკივარიც მოჰყავდა აღტაცებაში. ბურთის უბადლო ფლობა, მოედნის ხედვა, დრიბლინგი, შესანიშნავი გადაცემები, რომელიც ერთი ჩამოვთვალო? არადა, იყო საშიშროება, ოლიმპიადას მესის გარეშე ჩაევლო, რადგან მისი კლუბი პეკინში გამოშვებაზე სასტიკ უარზე იყო, მაგრამ მესიმ მაინც თავისი გაიტანა და ოლიმპიური ჩემპიონის ტიტულიც მოიპოვა.

ნიგერიის ნაკრებმა სიმპათიური გუნდის შთაბეჭდილება დატოვა და ანგარიშის გათანაბრებაც შეეძლო, მაგრამ სერხიო ბატისტას ბიჭებმა აფრიკელებს ოქროს მედლები არ დაანება და არგენტინის გუნდიც ზედიზედ მეორედ გახდა ოლიმპიური თამაშების გამარჯვებული.

საფინალო სასტვენის შემდეგ არგენტინელთა სიხარულსა და ნიგერიელთა მწუხარებას საზღვარი არ ჰქონდა. პატარა ბავშვივით ცქმუტავდა სიხარულისგან დიეგო არმანდო მარადონაც, რომელიც დაჯილდოების ოფიციალური ცერემონიალისას მოედანზე ჩავიდა და თანამემამულეებს გულითადად მიულოცა, შემდეგ კი ბრაზილიელი რონალდინიოც გულთბილად მოიკითხა, რომელიც მკერდზე ჩამოკიდებული ბრინჯაოს მედლით დადიოდა.

ჟურნალისტისთვის სამუშაო შერეულ ზონაში, მესისთან და რონალდინიოსთან ინტერვიუსა და ფოტოების გადაღებაზე ისეთი ამბავი იყო, დედა შვილს ვერ აიყვანდა ხელში. მივხვდი, რომ ამ ჩანაფიქრს სისრულეში ვერ მოვიყვანდი და განზრახვაზეც ხელის აღება მომიხდა. ამ ეტაპზე იმითაც ვარ კმაყოფილი, რომ მათი თამაში ცოცხლად ვიხილე.

**ძახა გერიძე პეკინიდან**

# მსხვერპლი გაიღო და შინ დაბრუნდა



**ანდრეი შევჩენკოს** ლონდონური კოშმარი დამთავრდა: უკრაინელი ფორვარდი „მილანში" დაბრუნდა.

არადა, სულ რამდენიმე დღის წინ „მილანსა" და „ჩელსის" შორის შეთანხმება გამორიცხული ჩანდა. ოდესღაც მრისხანე თავდამსხმელის სანატრელ და საყვარელ იტალიაში დაბრუნებაზე უკვე ხელი ჰქონდა ჩაქნეული, როდესაც, სრულიად მოულოდნელად, ვითარება შეიცვალა და შევჩენკოს აპენინებისკენ მიმავალი გზა გაეხსნა — „ლურჯებმა" ხელი აიღეს ფეხბურთელზე, რომელშიც ორი წლის წინ 30 მილიონი გირვანქა გადაიხადეს.

აი, რა თქვა სიხარულისგან თავბრუდახვეულმა 31 წლის უკრაინელმა:

„ჩემთვის „მილანში" დაბრუნება" ჩემპიონთა ლიგის მოგების ტოლფასი ამბავია. მოლაპარაკებების მიმდინარეობისას დიდი სირთულეები შეიქმნა, მაგრამ ახლა ყველაფერი მოგვარდა და თავს უბედნიერეს კაცად ვგრძნობ".

ალბათ, მიაქციეთ ყურადღება, რომ თანხაზე, რომელიც „მილანმა" შევჩენკოში უნდა გადაიხადოს, არაფერი გვითქვამს, მაგრამ ეს იმიტომ, რომ ამ თანხას მხარეები თავად არ ასახელებენ. ამბობენ, რომ რაკი შევჩენკოს ამბავი გადაწყდა, ახლა ლონდონელები „რეალიდან" რობინიოს გადაბირების ამბავს სერიოზულად მიხედავენ.

„შავ-წითელთა" ვიცე-პრეზიდენტი ადრიანო გალიანი:

„ანდრეი შინ დაბრუნდა და ეს ამბავი ყველას ძალიან გვახარებს. პირადად მე, როგორც „მილანის" უბრალო გულშემატკივარი, თავს ბედნიერად ვგრძნობ. ჩვენს შორის შეთანხმება მეტად კერძოა და მას არ გავახმაურებთ, იმას კი მოგახსენებთ, რომ ბოლო სამ საათში ანდრეის ორმოცდარვაჯერ ველაპარაკე. ის ჩვენს ქალაქში რამდენიმე საათში ჩამოვა და კვლავ მილანურ ცხოვრებას შეუდგება. რასაკვირველია, ის ძალიან შეცდა, როდესაც წავიდა. დარწმუნებული ვარ ამ ორი წლის განმავლობაში მან კარგად დაინახა, თუ სად არის მისი ნამდვილი სახლი. რასაკვირველია, ფინანსური თვალსაზრისით, შევჩენკომ მსხვერპლი გაიღო, მაგრამ, ვფიქრობ, მიხვდა, რომ მისთვის მთავარია, რომ ჩვენთან დაბრუნდა".

**ბაჩუნა ძიდია**

# თაღლითი და ტერი



**ინგლისის** ნაკრებისა და „ჩელსის" კაპიტანი ჯონ ტერი პოლიციაში მიიყვანეს და დაკითხეს. საქმე საკრედიტო ბარათებთან დაკავშირებულ თაღლითობას ეხება. პოლიციას აინტერესებდა, რამდენად და როგორ იყო დაკავშირებული ტერი დაპატიმრებულ ბიზნესმენ ფაისალ მადანისთან. უფრო სწორად, გამომძიებლები ეჭვობდნენ, რომ ინგლისელი ვარსკვლავი შესაძლოა თაღლითი მადანის მსხვერპლი ყოფილიყო, თორემ 27 წლის მცველს თავად რომ არაფერი დაუშავებია, მათთვის იმთავითვე კარგად იყო ცნობილი.

ტერის მავანმა მეგობარმა ინგლისურ პრესას განუცხადა:

„ჯონი ამ ადამიანს, ფაისალ მადანის იცნობდა, მაგრამ დიდი მეგობრები არასდროს ყოფილან. მეორე მხრივ, რაღაც აშკარად ხდებოდა და ამას გამოძიება სჭირდება, მაგრამ ვფიქრობ, ამ გამოძიებას ტერის ვექილები ეყოფიან, თავად ჯონის შეწუხება კი აღარ გახდება საჭირო".

მადანის, აპრილში, თაღლითობა დაუმტკიცეს (მას 18-პუნქტიანი ბრალდება წ:უყენეს) და ცხრათვიანი პატიმრობაც მიუსაჯეს. საინტერესოა, რომ მის დანაშაულთა შორის იყო ვარსკვლავთა ავტოგრაფებით უნებართვო ვაჭრობაც. ბევრ სხვა რამესთან ერთად მადანიმ მაიკლ ოუენისა და სტივ ჯერარდის ავტოგრაფებით ხელის მოთბობაც მოახერხა. სხვათაშორის, სასამართლო პროცესზე გაირკვა, რომ თაღლითი ხსენებული ვარსკვლავებისთვის დიდ წვეულებებს აწყობდა. გასულ ივნისს, ჯვრისწერაზე, მადანის ტერისთვის რამდენიმე ათეულ გირვანქად ღირებული საჩუქარიც კი მიუძღვნია. არის ეჭვი, რომ ამ საჩუქრის შესაძენად მადანიმ თაღლითური საკრედიტო ბარათით ისარგებლა.

მაიკლ ოუენი: „ამ კაცის ტერის ქორწილში დანახვამ ძალიან გამაკვირვა. ნამდვილად არ მეგონა, რომ ის საფეხბურთო წრეებლი ამდენ ადამიანს იცნობდა".

სასამართლოზე მადანიმ განაცხადა, რომ ბევრ ფეხბურთელს ავტოგრაფი დიდ კონვერტში ჩალაგებული ფულის წყალობით გამოართვა, შემდეგ კი ამ ავტოგრაფებს ჩეშირში, მაღაზია Sporting Icons-ში 5 ათას გირვანქად ყიდდა.

აღსანიშნავია, რომ ერთ-ერთი პირველი, ვინც საეჭვო ავტოგრაფის ბაზარზე ამოტივტივება შეამჩნია და პოლიციას გამოძიებაში ხელი შეუწყო, „მანჩესტერ იუნაიტედის" მცველი გარი ნევილი გახლდათ. მან „იუნაიტედის" ერთ-ერთ თანამშრომელთან ერთად ფოტო გადაიღო, ოღონდ ხელი არ მოაწერა. ეს თანამშრომელი ამ ფოტოთი ზემოხსენებულ მაღაზიაში მივიდა და ჰკითხა, ნევილს ამ ფოტოზე ხელსაც ხომ არ მოაწერინებდითო. თანხის გადახდის შემდეგ მან მიიღო წარწერა: პიტერს, გარი ნევილისაგან.

მოგვიანებით პოლიცია მაღაზიაში შევიდა და ვარსკვლავთა ასეულობით ავტოგრაფი ამოიღო.

**ბაჩუნა ძიდია**

## ორი ფრიულელი კიევოში

**ვერონის** „კიევომ" ერთდროულად ორი ტრანსფერი გაჩარხა. „მფრინავმა ვირებმა" „უდინეზედან" ანტონიო ლანჯელა და ჯამპიერო პინცი გადმოიყვანეს. ორივე ფეხბურთელი „ფრიულიდან" ერთწლიანი იჯარით გადავიდა ვერონაში. ამასთან, მომავალ ზაფხულს ლანჯელას სრულად გამოსყიდვა იქნება შესაძლებელი, ხოლო პინციზე უფლებებს „ძებრეტე" მხოლოდ სანახევროდ თმობს.

## კარლომ ფილიპი უარყო

**იტალური** „მილანის" მთავარმა მწვრთნელმა კარლო ანჩელოტიმ „როსონერიში" ფილიპ სენდეროსის შესაძლო ტრანსფერი უარყო.

„სენდეროსს ვიცნობ, მაგრამ წარმოდგენაც კი არ მაქვს, აპირებს თუ არა „მილანში" გადმოსვლას. ისიც კი არ ვიცი, „არსენალს" მისი გაყიდვა თუ სურს. ეს პირველი მოთამაშე არ არის, რომელსაც „მილანთან" აკავშირებენ" — აღნიშნა იტალიელმა სპეციალისტმა.

## ტაქსინი საბჭოს ტოვებს

**„მანჩესტერ სიტის"** მფლობელი ტაქსინ შინავატრა კლუბის დირექტორთა საბჭოს დატოვებს. მიუხედავად ამისა, ტაილანდის ყოფილი პრემიერ-მინისტრი „ქალაქელთა" გასხვისებას ჯერჯერობით არ აპირებს.

„ტაქსინმა მითხრა, რომ თუ საჭიროა, დირექტორთა საბჭოს დატოვებს, თუმცა მისი ეს ნაბიჯი რეალურად არაფერს შეცვლის.

მართალია, მისი ტაილანდური ანგარიში გაყინულია, მაგრამ „მანჩესტერ სიტი" არ გაკოტრებულა" — განაცხადა „ცისფრების" აღმასრულებელმა დირექტორმა ჰარი კუკმა.

შეგახსენებთ, რომ „სიტის" მფლობელს ტაილანდში კორუფციაში ედება ბრალი.

## ბიანკი გაფორმდა

**სერია A-ს** „ტორინომ" როლანდო ბიანკისთან კონტრაქტი ოფიციალურად გააფორმა. „იტალიაში დაბრუნებით ბედნიერი ვარ. შევეცდები, „ტორინო" იტალიური ფეხბურთის ელიტაში შევიყვანო" — თქვა „მანჩესტერ სიტის" ყოფილმა ფეხბურთელმა.

## სენა გახანგრძლივდა

**ესპანური** „ვილიარეალის" პრეზიდენტის ფერნანდო როიგის განცხადებით, კლუბმა ნახევარმცველ მარკოს სენასთან კონტრაქტი გაახანგრძლივა. „სენასთან ხელშეკრულების კიდევ ერთი წლით გახანგრძლივება გადავწყვიტეთ, რადგან იგი ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანი მოთამაშეა. მარკოსი იმისთვის გვჭირდება, რომ კლუბმა ზრდა განაგრძოს. მის მომავალთან დაკავშირებით ყველა საკითხი მოგვარებულია, ანუ ყველა კმაყოფილი დარჩა" — აღნიშნა „ყვითლების" ბოსმა.

## მუსაკიო რეალს უახლოვდება

**არგენტინული** „რივერ პლეიტის" ახალგაზრდა ფეხბურთელი მატეო მუსაკიო მადრიდის „რეალში" გადასვლასთან ახლოსაა. სავარაუდოდ, 17 წლის მთცველის ტრანსფერი 2,5 მილიონი გირვანქა ეღირება. არგენტინული კლუბის გენერალური დირექტორი ექტორ გრინბერგი უკვე ჩაფრინდა მადრიდში: „ყველა საკითხის რაც შეიძლება სწრაფად მოგვარება გვსურს. ფეხბურთელის „რივერ პლეიტში" კიდევ ერთი წლით, ოღონდ ამჯერად იჯარით დატოვებას შევეცდებით" — განაცხადა გრინბერგმა.

## რიერა ჰანფეტებსაც მოუნდათ

**ლივერპულის** „ევერტონი" ბარსელონის „ესპანიოლის" ნახევარმცველით, ალბერტო რიერათი არის დაინტერესებული. ბრიტანული პრესის ცნობით, ტრანსფერის სავარაუდო ღირებულება 12 მილიონ გირვანქას შეადგენს. აღსანიშნავია, რომ ადრე რიერას „ლივერპულმაც" დაადგა თვალი და კატალონიელებს ესპანელი ნახევარმცველის უკრაინელ ანდრეი ვორონინზე გაცვლას სთავაზობდა.

## მარკო კლასს არ უშვებს

**ამსტერდამის** „აიაქსის" დამრიგებელი მარკო ვან ბასტენი კლას იან ჰუნტელაარსის კლუბიდან გაშვებას არ აპირებს. თავდამსხმელზე მადრიდის „რეალი" და „მანჩესტერ იუნაიტედი" ნადირობენ: „ამ საკითხთან დაკავშირებით არაფრის გაგონება არ მსურს. დარწმუნებული ვარ, რომ კლასი „აიაქსში" თავს შესანიშნავად გრძნობს" — თქვა ვან ბასტენმა.

გასულ ზაფხულს ამსტერდამელებმა უესლი სნეიდერი „სამეფო კლუბში" 27 მილიონ ევროდ გაუშვეს და ჰოლანდიელ სპეციალისტს იგივეს გამეორება არ სურს.

## ეიდურს არ ემდურიან

**ეიდურ გუდიონსენი** დარწმუნებულია, რომ „ბარსელონაში" დარჩება. ისლანდიელი შემტევის მომავალი ამ ზაფხულს გაურკვეველი იყო. მას რამდენიმე ინგლისური კლუბი ეპატიჟებოდა, მაგრამ ხოსეპ გვარდიოლამ უთხრა, რომ ადგილს გუნდში მასაც მოუძებნის.

„მწვრთნელს ველაპარაკე და დამარწმუნა, რომ „ბარსელონასთვის" საჭირო ფეხბურთელი ვარ და აუცილებლად გამოვადგები. მხოლოდ ამის შემდეგ გადავწყვიტე დარჩენა. აქ ბევრი ნახევარმცველია და „ბარსასაც" სეზონში ბევრი მატჩი ელის. ამიტომ გვარდიოლას მეც ვჭირდები" — განაცხადა გუდიონსენმა.

**არჩილ ძოწენიძე**

## ინგლისი
### პრემიერლიგა
### II ტური

**ფულემი 1:0 არსენალი**

1:0 ჰანგელანდი (21)
ფულემი: შვარცერი, პანტსილი, ჰიუზი, ჰანგელანდი, კალიო (ზეირდი 74), დეივისი, ბალარდი, მერფი (თეიმურიანი 81), გერა, ზამორა, სეოლი (დემპსი 77)
მწვრთნელი: როი ჰოჯსონი
არსენალი: ალმუნია, სანია, ტურე (სონგი 77), გალასი, კლიში, უოლკოტი (ბენდტნერი 65), ებუე, დენილსონი, ნასრი, ადებაიორი, ვან პერსი
მწვრთნელი: არსენ ვენგერი
გაფრთხილება: მერფი, თეიმურიანი
მსაჯი: ატკინსონი
25 276 მაყურებელი

**სტოკი 3:2 ასტონ ვილა**

1:0 ლოურენსი (30პ), 1:1 კარეუ (63), 2:1 ფულერი (80), 2:2 ლაურსენი (84), 3:2 სიდიბე (90)
სტოკი: სორენსენი, გრიფინი, კორტი, აბდულაი ფაიე, დიკინსონი, ლოურენსი, ოლოფინჯანა, დელაპი, ამდი ფაიე (დიაო 72), კიტსონი (სიდიბე 76), ფულერი (კრესუელი 87)
მწვრთნელი: ტონი პულისი
ასტონ ვილა: ფრიდელი, ლუკ იანგი, ლაურსენი, დევისი, შორი (რუტლეჯი 73), პეტროვი, რეო-კოკერი, ბერი, ეშლი იანგი, კარეუ, აგბონლაჰორი
მწვრთნელი: მარტინ ონილი
გაფრთხილება: კიტსონი
მსაჯი: ჰალსი
27 500 მაყურებელი

**ვესტ ბრომვიჩი 1:2 ევერტონი**

0:1 ოსმანი (65), 0:2 იაკუბუ (76), 1:2 ბედნარი (89პ)
